ეროვნული ბიბლიოთეკა

შაგათი 1919 წ. მაისის 10 № 100
ფასი 1 მან. და 50 კ.
ყოველდღიური მეგაზეთი

შაგათი 1919 წ. მაისის. 10 № 100

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა **უფასოთ** ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ **ინახება** და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დღეა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **ხამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ **საათისა** კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15—73**

F 262 N 13029

გულ მოკლული და ბარბარე, სიძე ნიკო შვილებითურთ ფარნაოზით და სოფიოთი იაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ახალციხესთან ბრძოლაში ჭრილობის გამო გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი პორუჩიკი თელავის მე-6 პოლკის

## იოსებ ივანეს ძე ევსტაფიევი

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში დილის 10 საათზე და საღამოს 6 საათზე დაკრძალვა მოხდება კვირას, 11 მაისს, დიდუბის ეკლესიაში. 3—2364—2

მიხეილ ალექსანდრეს ძე მოლოდინი მეუღლეთურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 11-ს მაისს, ანჩისხატის საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი უძვირფასესი და სიყვარულით აღსავსე დის

## ნინოს

სულის მოსახსენებლად გარდაცვალებიდან ნახევარ წლის შესრულებისა გამო. წირვა დაიწყება 10 საათზე.
2—2367—1

რაფიელ ბესარიონის ძე ნიჟარაძე მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ თავის ძვირფასი და დაუვიწყარ მამის

## დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის

(თავისუფალ ხვანის)

გარდაცვალებას. პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად დანიშნულია კვირას, მაისის 11, დღის 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. 2—2363—1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა უზომო მწუხარებით აუწყებს მის ნაცნობებს, ნათესავებს და პატივისმცემლებს, რომ ძვირფასი მასწავლებლის

## იოსებ ოცხელიძის

ორმოცის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ქაშვეთის ეკლესიაში კვირას, მაისის 11-ს, დღის 12 საათზე.
2—2366—1

მეუღლე ოლღა დავითის ასული, შვილი დიმიტრი შალვას ძე ფიცხელაურები, სიდედრი მართა იოსების ასული კახელაშვილისა, ძმა კონსტანტინე, რძალი ნატალია, ძმისწული სიმონ ფიცხელაურები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

შალვა თედორეს ძე

## ფიცხელაური

პანაშვიდები ყოველ ოღე საღამოს 7 საათზედ. დაკრძალვა მოხდება კვირას 11 მაისს. ცხედარს გამოასვენებენ ფასანაურის ქუჩა № 13. წირვა ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა წმიდა ნინოს სასაფლაოზედ 1—2369—1

დედა ნინო ლევანის ასული, მეუღლე ნატალია ნიკოლოზის ასული, ძმები ვლადიმერი და ივანე აბრამის-ძენი, რძლები ნინო იოროთელ-ასული და ნინო ივანეს-ასული ნასიძენი, სიძე ალექსანდრე იოსების-ძე და დაი თამარ აბრამის-ასული გილაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობრებს, რომ კვირას, 11 მაისს 1 საათზედ წმ. გიორგის ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქმნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი სიღნაღის მაზრის, სოფ. მაღაროში უდროოთ გარდაცვალებულ, 79 კურუნის პოლკის აფიცრის

## სერგეი (სერიოჟა) აბრამის-ძე ნასიძის

სულის მოსახსენებლათ
(1—2368—1)

## ქალაქ ქუთაისში

ალექსანდროვის და პუშკინის ქუჩის კუთხე (ცენტრში)

ქირავდება გაღი

## „ელიდი"

საზაფხულო გუფეტით პავილიონით და

მთელი მოწყობილობით

პირობების გაგება შეიძლება წერილობით ქალაქ ხონში ჩხიკვიშვილთან და პირადათ ქალაქ ქუთაისში სასტუმრო „გრანდ ოტელში".
6—2356—5

კვირას, 18 მაისს 1919 წ. ქართ. კლუბის დარბაზში

დანიშნულია ღამიური, საერთო კრება

## ქართ. სამუსიკო საზოგადოებისა

უწყება: 1. კონცერტი. 2. გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება 1818 წ ანგარიშის შესახებ. 3. სამუს სკოლის მდგომარეობა. 4. მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ. 5. მოხსენება გამგეობისა მომენტის გამოწვევის: ა) მოხსენება, რომელიც გამგეობამ წარუდგინა დამფუძნებელ კრების სახელოვნო კომისიას. ბ) გაფართოვება ქართ. სამუს. საზ. კომპეტენციისა. გ) ორგანიზაცია სამუსიკო-ხელოვნების კოლეგიისა ქართ. სამუს. საზ. დ) ფინანსიური კითხვა. ე) ურთი-ერთი დამოკიდებულება მთავრობასთან. 6. მორიგი კითხვები. 7. წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა და დამატება.

**კრება დანიშნულია დილის 11 საათზე. თუ საკმარისი რიცხვი არ გამოცხადდა მაშინ მეორე კრება ინიშნება 12 ს. და ითვლება კანონიერად.**

ქ. სამ. საზ. გამგეობა.
(1—63—1)

## სახელმწიფო თეატრი

სახელმწიფო თეატრის დირექცია საოპერო გუნდში მომღერლებს იწვევს.

ხმის გასინჯვის შემდეგ მომღერლები სახელმწიფო თეატრის სამსახურში ჩაირიცხებიან და **ჯამაგირი დაენიშნებათ.**

**ჩაწერა ჰსწარმოებს ყოველდღე, თეატრის კონტორაში,**

დილის 11 საათიდან—2 საათამდე.

ხმებს პირველად გაუსინჯავენ მარტის 12-ს 2 საათ.—4-ამდე.
(4—4)

## იყიდება სახლი

1-ლ სამილიციო ნაწილში, მეორე პოდგორნი პროსპოდში, 4 ოთახი 140 საქ. მიწა. იკითხეთ „პეტროვსკის" ქუჩაზედ № 46. **ოდიშვილთან.**
5—65—2

**კვირას 11 მაისს, დილის 11 საათზე**

**დანიშნულია საბებიო ინსტიტუტის შენობაში (ოლლას ქუჩ) საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოების**

## საგანგებო კრება

უძრავი ქონების შეძენის შესახებ. წევრთა დასწრება ამ კრებაზე აუცილელია.
(1—2365—1)

მიმაქცარებელ საზოგადოების „**ფარეგარეგის**" გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრთა, რომ წევრთა

## საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, მაისის 18-ს, დილის სწორედ 11 საათზედ, სამეურნეო ბანკის დარბაზში. კრების წეს-რიგი: 1) 1918 წ. ანგარიში და მოგების განაწილება: 2) 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვა და 3) მორიგი საქმეები. მოსაწვევი არ თები არავის გაეგზავნება ამ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კრება 18 მაისს არ შესდგა, მეორე კრება გაიმართება 25 მაისს, საღამოს 7 საათზედ, იმავე შენობაში, რომელიც კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრედ რაოდენობისა. ანგარიში ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო არ იბეჭდება, მაგრამ ყველა წევრს შეუძლიან საზოგადოების კონტორაში წინასწარვე გაეცნოს საზ. ოგადოების საქმეებ.

გამგეობა.
(2—2358—2)

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება

ორშაბათს 12, სამშაბათს 13 და ოთხშაბათს 14 მაისს, 10-ს საათამდე

**მიიღება** სამეურნეო ბანკში (თფილისი, სასახლის ქუჩა, № 6) **ხელის მოწერა საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების აქციებზედ.**

**თითო აქცია ღირს 300 მან.** რომელიც შემოტანილ უნდა იქნას 3 ვადაში.

## ახლავე უნდა ამოიტანილ იქნას

**თითო აქციაზედ პირველი ხვედრი ფული 50 მან.**

დანარჩენი ვადები გადაწყვეტილი იქნება საზოგადო კრებაზედ. თითო აქციაზედ ხარჯებისათვის (კვიტანციისათვის მარკა და სხვა) უნდა შემოტანილ იქნას აგრეთვე თითო მანათი. ყოველ ცნობებს მიაწვდის აქციონერთ დამფუძნებელთა რწმუნებული სამეურნეო ბანკის დირექტორი **პ. ა. გოთუა.**
(3—66—1)

## შრომის პროგრამი

შრომის სამინისტროს უკვე რამოდენიმე თვეა შემუშავებული აქვს ახალი კანონი შესახებ დაქირავებული შრომის ხელშეკრულობისა. ჩვენს გაზეთში უკვე განვიხილეთ ეს კანონი და აღვნიშნეთ მისი მთავარი ღირსებანაკლულევანებანი. კანონ-პროექტის საკანონმდებლო დწესებულებისათვის წარდგენა მეტად დაგვიანდა. ამის მიზეზი შეიქმნა ის გარემოება, რომ შრომის კანონის, თუნდაც იმ სახით, როგორც ის დღეს არის, შემუშავებას მრავალი ინსტანციისა და დაბრკოლების განვლა დასჭირდა. კანონის მთავარი დებულებანი განხილული იყვნენ პროფესიულ კავშარებში და ბოლოს ამიერ-კავკასიის პროფესიულ კავშირთა ყრილობაზე. თუ ამ კანონში უკვე აღნიშნულია ზოგიერთი აუცილებელი უფლებრივი ნორმა, რომლის გარეშე შეუძლებელია რაიმე წესიერი წარმოების არსებობა, ეს იმით კი არ აიხსნება მხოლოდ, რომ ჩვენი პოლიტიკის მეთაურები ამ დასკვნამდე მივიდნენ დიდი კვლევა-ძიების შემდგომ, არამედ იმით რომ თვით მასსამ, თვით ცხოვრების სტიქიონმა მიაღწია იმ ჯვარედინ გზას, რომლის იქით იწყებოდა ან სრული განადგურება ჩვენი სუსტი საწარმოვო ძალებისა და, მაშასადამე, საერთო და კერძოდ მუშათა კლასის სრული დამშევა და გალატაკება, ან და დღევანდელი ანარქიული პოლიტიკის უფრო განზომიერება და ცხოვრების სინამდვილესთან შერიგება.

ჩვენი მუშათა კლასის მეთაურებს რომ თავიანთი გავლენა ეხმარათ და ადრე დაეყენებინათ ამ გზაზე მშრომელთა კლასი, ამით მოგებაში თვით ეს მშრომელი კლასი და მთელი ერი იქნებოდა. მაგრამ, საუბედუროდ, საჭირო აღმოჩნდა ცხოვრების ულმობელ კანონებთან უნაყოფო ბრძოლის მრავალი ეტაპის განვლა, სანამ მშრომელთა მასსა და მისი ბელადები დაადგებოდნენ, ჯერ კიდევ მორცხვად იმ ერთად ერთს გზას, რომელიც შეიცავს შესაძლებლობის ფარგალში მუშათა ინტერესების დაცვას და მათი უფლებების უზრუნველყოფას.

თვით რუსეთის ბოლშევიკებიც კი იძულებულნი იყვნენ ამ გზას დასდგომოდნენ. მათ ხომ ჯერ ყველა წარმოებები ჩამოართვეს მეპატრონეთ და მუშათა კომიტეტებს გადასცეს სრულს გამგებლობაში. ჰფიქრობდენ, რომ ეს დიდათ გააუმჯობესებდა მშრომელთა მდგომარეობას, მაგრამ ასეთი ექსპერიმენტებმა სულ საწინააღმდეგო შედეგები მოიტანეს. ფაბრიკა-ქარხნებში დაგროვილი მასალები გამოილია და გაიფლანგა, მანქანები მოუვლელობით გაფუჭდა, ყველამ უფროსობა მოინდომა და შავ მუშაობას თავი დაანებეს. ამის გამო დაიკეტა რუსეთში წარმოებათა დიდი ნაწილი და რაც დარჩა ისიც სულს ღაფავდა, შრომის პირობების ასეთი ანარქიული მდგომარეობის გამო, წარმოებათა დაკეტვას ყოველგან მოჰყვება უმუშევრობა და მუშათა კლასის დამშევა. რუსეთშიც ასე მოხდა და ბოლშევიკური მთავრობაც იძულებული იყო უმუშევართაგან სპეციალური რაზმი შეედგინა ფრონტებზე გასაგზავნად.

ბოლშევიკური მთავრობაც დარწმუნდა, რომ თუ ასეთი მდგომარეობა კიდევ გაგრძელდებოდა მთელს ქვეყანას ხიფათი მოევლინებოდა. და ეს გაუსწორებელი ფანატიკოსები და შეურიგებელი დოგმატიკოსებიც კი იძულებული გახდენ მოეღოთ განსაკუთრებული ზომები თავაშვებული ბოლშევიკური მუშების ასალაგმავად. მათ შემოიღეს ნარდი მუშაობა, რაც სოციალისტების პროგრამაში აღკრძალული იყო, როგორც უდიდესი ბოროტება. ამას გარდა მათ დაიწყეს წესიერი შრომისათვის პრემიების მიცემა, მათ მუშაობაში წაქეზება, რაც აგრეთვე ბურჟუაზიის მიერ გამოგონილ ხაფანგათ ჰქონდათ მონათლული.

დღეს ისინნი სასტიკ რეჟიმს ამყარებენ ქარხანა-ფაბრიკებში და ამით უნდათ გამოასწორონ დანგრეული მრეწველობის საქმე.

ასე ულმობელი და შეუბრალებელი აღმოჩნდა ცხოვრების კანონები სოციალისტური ექსპერიმენტებისათვის. ყოველგან სადაც კი გამოსცადეს მისი გავლენა იძულებული ხდებიან უკან დაიხიონ და დაადგენ იმ გზას, რომელიც გაკაფულია დაწინაურებულ ქვეყნების მთელი საუკუნის დემოკრატიული მუშაობით.

მუშათა მდგომარეობა უნდა გააუმჯობესოთ რამდენადაც კი შეიძლება, ხოლო ისე რომ ამით წარმოება არ დაიღუპოს. თორემ წუთიერს გაუმჯობესობას მოჰყვება მდგომარეობის სამუდამო გაუარესება და ეს უწინარეს ყოვლისა თვით მუშათათვის არის საზარალო.

შრომის ახალი კანონის განხილვა და მიღება დიდათ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. სამინისტროს კანონს მრავალი ნაკლი აქვს: ეს დეფექტები იმდენათ თვალსაჩინოა, რომ მათი შესწორება თვით მმართველი წრეებისთვისაც არ იქნება მიუღებელი. ამ კანონს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით. დღეს გამოვთქვამთ მხოლოდ სურვილს, რომ ის დაჩქარებით შევიდეს დამფუძნებელს კრებაში, რათა რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო მუშათა საკითხის უფლებრივად სრულიად გამოურკვეველს და ანარქიულს მდგომარეობას.

## პრესა

**სოციალ-დემოკრატების გადასახადი.**

ჩვენს სოციალ-დემოკრატებს ერთი უცნაური ჩვეულება აქვთ: დემაგოგიისაგან მოიქანცებიან, თვალებს გამოიფშვნეტენ და ერთს ელემენტარულ ჭეშმარიტებას წარმოსთქვამენ, მაგრამ ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ახალი აღმოჩენით მოევლინენ ქვეყნიერებას, მაგრამ ნურავინ დაიჯერებს რომ მენშევიკების სიფხიზლემ დიდხანს გასტანოს, ისევე მალე უბრუნდებიან ისინი თავის პირველ ყოფილ მდგომარეობას.

გაზეთ „ერთობის" გუშინდელ მეთაურის ავტორი, უსათუოთ ასეთს მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ ასეთი „უცნაურობა" აღმოუჩენია:

თურმე ჩვენი სახელმწიფო დღემდე მხოლოდ ბონების ბეჭდვით სცხოვრობს. ბონების ბეჭდვა კი სცემს ფულის ფასს, ბადებს საქონლის სიძვირეს და... რაც მეტი დაიბეჭდება იგი, მით ნაკლები ფასი ექნება".

რა ღონის ძიებაა საჭირო ამ მდგომარეობის ასაცდენათ?

„ესაა გადასახადები. გადასახადები უნდა გაიღოს ხალხმა, უნდა გაიღოს ყველამ, დიდმა და პატარამ, ვისაც კი ფული მოეპოვება".

გასაოცარი ჭეშმარიტებაა, მაგრამ მოდი ვკითხოთ წერილის ავტორს რატომ მოაგონდა ასე გვიან ეს უტყუარი ჭეშმარიტება?

სოციალ-დემოკრატიას გუშინ ხომ არ მიუღია თავის თავზედ საქართველოს მთავრობის ძალა უფლება: უკვე ერთი წელია, რაც ისინი საქართველოს მესვეურობენ და მეორე წელია რაც ამიერ კავკასიის გამგებლობას შეუდგენ და ამ ხნის განმავლობაში ფული მხოლოდ იბეჭდება და სახელმწიფო ხაზინიდან გადის, მაგრამ უკან აღებაზედ ჯერ არავის უფიქრია.

თვით „ერთობა", ამბობს, რომ:

„რევოლუციის შემდეგ გადასახადი

# უკანასკნელი ცნობები

**მაისის 7, შუადღის 3 საათზე მოკავშირეებმა გერმანელებს საზავო ხელშეკრულება ჩააბარეს.**

**საზავო ხელშეკრულების ძალით გერმანიამ უნდა ალიაროს გაუქმება ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებისა და ყველა შეთანხმებისა, რომელიც 1917 წლის ნოემბრიდან დასდო რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ მთავრობებთან ან და პოლიტიკურ პარტიებთან.**

ხალხს გადაავიწყდა. იგი მას არ იხდიდა".

რატომ?

არჩევნების დროს იგივე ხალხი არ იყო, რომ მენშევიკების ყუთებთან კაღლეთებით მოქონდათ საარჩევნო ბიულეტენები, და რათა ხდება რომ იგივე ხალხი უარს ეუბნება მათ გადასახადთა გაღებაზედ.

„ერთობას" უძნელდება ამ უცნაურობის ახსნა, მაგრამ ჩვენ გვინდა ურჩიოთ მათ ჰკითხონ თავის პროპაგანდისტებს, სოფლად ხალხს რომ უქადაგებდენ: „ჩვენი მთავრობა გადასახადის წინააღმდეგიაო".

რა გასაკვირი იქნება, რომ ასეთი ქადაგების შემდეგ ხალხს „გადასახადების გადახდა დავიწყებოდეს".

შესაძლებელია ხალხს გადასახადი არც დავიწყებოდეს, ჩვენ ვიცით, რომ ეს ხალხი იხდიდა გადასახადს, მაგრამ გადასახადს მხოლოთ პარტიულს და თუ დღეს უარს ამბობს ამ გადასახადზედაც სჩანს ეს პარტიული ხარკიც მობეზრებია

## დამოუკიდებლობის დაცვა და სოციალ-დემოკრატები

სოციალ-დემოკრატები პრაქტიკულის მოქმედებით საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას საერთოდ ხელს უწყობენ. ამ პარტიის მასაც შეურიგდა თვისი ბელადების ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ პოლიტიკას და ჯერ-ხნობით უარჰყო ინტერნაციონალური ფრაზეოლოგია. მაგრამ ძველი, გადაღეჭილი სოციალ-დემოკრატიული ტენდენცია მუდამ თავს იჩენს იმ შემთხვევაში, როდესაც სოციალ - დემოკრატები თეორიულად „ასაბუთებენ" თვით არს საქართველოს დაცვის იდეას, მისი დამოუკიდებლობის წარმოშობის **raison d'être**-ს.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ სოციალ-დემოკრატებს სიტყვით, თუ წერით აღენიშნათ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების აუცილებლობა და ამავე დროს მგრძნობიარეთ არ ეხსენებინოთ რუსეთის ბატონობის ჟამი. „ერთობის" პუბლიცისტებს ხომ ისე არ აუღიათ კალამი ხელში რომ სამადლობელო არ ეძღვნათ „მფარველ რუსეთისათვის" და დუხჭირ გარემოებათათვის არ მიეწეროთ „ქართველი დემოკრატიის" პოლიტიკური განთავისუფლება. „ერთობა" მუდამ იმის ცდაშია, რომ „საქართველოს დემოკრატია" დაარწმუნოს სოციალ დემოკრატების დენაციონალისტურ სულისკვეთებაში. „ჩვენი ხალხის ისტორიულ უფლებების დაცვის პრინციპით" ერთობელები არასოდეს არ ყოფილან მაინცა და მაინც გატაცებულნი, მაგრამ დღეს, როდესაც ქართველი ერი სოციალ დემოკრატიის ზრახვათა წინააღმდეგ იბრუნებს „ისტორიულ უფლებებს" და თვით ქართველ სოციალ-დემოკრატებს ძალაუნებურად ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა მიუძღვით,—დაუშვებელია ასე ცინიკურად მოპყრობა თავისუფალ ერის წმიდათა წმიდისადმი! საქართველი დაკარგულ უფლებათა მოსაპოებლად იბრძოდა განუწყვეტლივ და მისი საუკეთესო შვილები არსებითად ამ იდეისათვის ეწამებოდნენ საუკუნის განმავლობაში. ხოლო როდესაც დღევანდელ ბედნიერმა შთამომავლობამ რეალურად იხილა ერის იდეალის აღსრულება და შესაძლებელი შეიქმნა „ისტორიულ უფლებების" სრული აღდგენა, „ერობის" სოციალ-დემოკრატები უმძღავნებენ ქართველ ხალხს, რომ ისინი ამის წინააღმდეგ მოქმედებდნენ და სულითა და გულით მთლიან დემოკრატიულ რუსეთის ფარგლებში დარჩენაზე ზრუნავდნენ...

სოციალ დემოკრატების ორჭოფულ პოლიტიკაზე ჩვენ ადრეც შეეჩერებულვართ და იგი სახელგვიწოდებია შესაფერად, მაგრამ არ ძოველოდებოდით, რომ ამ ღირსებაზე „ერთობა" ასე მოუხშირებდა სახელმძღვანელო წერილებს!

დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოში სოციალ - დემოკრატებს განსაკუთრებით აინტერესებს „დიდი რევოლიუციის პროცესში მოპოვებული ბევრი ისეთი უფლება, რომელიც ძირიანად სცვლის ძველს ურთიერთობას და ჩვენი დემოკრატიის ცხოვრებას განახლების გზაზე აყენებს"...

„ერთობა" ძლიერ ეშინოს, რომ რომელიმე სახელმწიფომ, თუნდ იმავე რუსეთმა, შესძლოს ამგვარი რეფორმათა განხორციელება და სწორედ ამიტომ, გაზეთის დასკვნით, ქართველმა დემოკრატიამ უნდა დაიცვას საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება.

„ერთობის" პუბლიცისტების გარდა, სხვა ყველასთვის საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა კიდევ სხვა კატეგორიის ღირებულებას შეიცავს და მის დასაცავათაც, ვფიქრობთ, ქართველი დემოკრატია განმზადებული უნდა იყოს სოციალურ რეფორმების განაღდგენით საქართველოს თვით-არსებობის იდეა ვერ ამოიწერება; ჯანსაღი ერი სახელმწიფოებრივ ეროვნულ მიღწევაში სუვერენულ უფლებათა განსახიერებას ჰხედავს და პოლიტიკურ თავისუფლებას გარეშე ყოველივე მერკანტიულ მოსაზრებისა იცავს.

სოციალ-დემოკრატების მზრუნველობის საგანს, როგორცა სჩანს, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, როგორც ასეთი, კი არ შეადგენს, არამედ სოციალურ და ეკონომიურ რეფორმათა შემოღება დემოკრატიის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სხვა დანარჩენი მხარე დამოუკიდებელ ცხოვრებისა, ალბად, ისეთი უმნიშვნელო მეორე რიგის საგანი ყოფილა, რისთვისაც ზრუნვა და ბრძოლა არც თუ ისე საქები და წასაქეზებელია.

„ერთობის" გულახდილ ახსარებიდან „ქართველ დემოკრატიას" ერთად ერთი დასკვნის გამოყვანა შეუძლიან: რაწამსაც ყოფილ მფარველ და მხსნელ სახელმწიფოში—რუსეთში დამყარდება დაახლოვებით იგეთი წესწყობილება, როგორიც დღეს ჩვენს კურთხეულ ქვეყანაშია, დემოკრატია თავის სამღვთო მოვალეობად ჩასთვლის თავიდან ჩამოიშოროს „შექმნილ მდგომარეობიდან გამოწვეული საქართველოს დამოუკიდებელი ცხოვრება" და ნირვანნას მყუდროებას მიეცეს რუსეთის წიაღსა შინა!!!

ასე იფიქრებს „ერთობის" მკითხველი, ხოლო მწარე ფიქრები დაიწვება ლოდივით საქართველოს მოქალაქეს, როდესაც გაიხვალისწინებ, რომ მისი სამშობლოს ბედიღბალი ბევრ შემთხვევაში დამოკიდებულია იმ ადამიანების განწყობილებაზე, რომელნიც „ერთობის" ფურცლებზე ხანგამოშვებით ასეთი სიურპრიზებით უმასპინძლდებიან თავისუფლების მოყვარულ ქართველობას.

**რ. ინგილო.**

## მთიელთა რესპუბლიკის დახმარებისათვის.

ყველა ფრონტებზე დამარცხებული რუსული იმპერიალიზმი (სულერთია როგორის სახით მოვლინებული-სოციალისტურისა თუ არა-სოციალისტურის) ისეთი ხაზის ძებნაშია ამ ჟამად, რომელიც ნაკლები წინააღმდეგობის ენერგიას წარმოადგენს. ცხადია, რომ ეს ფაქტი მისი აგონიის მომასწავებელია, მაგრამ კითხვა სულ სხვა მხრით არის საინტერესო.

რუსული ეროვნული ძიება იმდენად მოკლებულია შორს მჭვრეტელობის უნარს, რომ ძნელად გადასალახი ზღუდე ნაკლები წინააღმდეგობის ხასად ეჩვენება. ასე რომ არ იყოს, მისი გაუმაძღარი თვალები კავკასიონის ქედისაკენ არ იქნებოდა გადმოპყეტილი. რუსეთი მთელის თავისის სიმძიმით მიაწვა კავკასიის ერებსა და სხვა და სხვა ადგილას ფრონტები გაგვიჩაღა. აზერბეიჯანი, საქართველო, მთიელთა რესპუბლიკა—აი ის ადგილები, რომელიც მიზანში აქვს რუსეთს ამოღებული.

საქართველოს ფრონტზე ჯერ-ჯერობით არ გაუხარნია რუსეთის იმპერიალიზმს, აზერბაიჯანის ხელშესახებად კი მან საჭიროდ დაინახა მთიელთა რესპუბლიკის გაუქმება და მისი გადათელვა.

თვეები გადის, რაც გაშმაგებული ბრძოლა სწარმოებს მთიელებსა და მოხალისეთა ლაშქარს შორის. თავისუფლების მოყვარე მთის შვილები ჯერ არ დაცემულან ამ უსწორო ბრძოლაში და გმირულად იბრძვიან თვისი დამოუკიდებლობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეთა წარმომადგენლებიც დიდს სამსახურს უწევენ მოხალისეთა ლაშქარს იარაღით, ფულით, სურსათ-სანოვაგით და ომისათვის სხვა საჭირო მასალებით მთიელთა დამარცხებაზე ლაპარაკი მაინც ნაადრევია. ზოგან მათ შესძლეს კიდეცა თავისი სამშობლო მიწა-წყლის ყაზახთა ურდოებისაგან განწმენდა, მაგრამ ბრძოლა იმდენად უსწოროა, რომ შესაძლებელია მათი დამარცხება. ამ შემთხვევაში კი დენიკინის ლაშქარს გზა გაეხსნება საქართველოსა და აზერბეიჯანისაკენ და სწორედ მაშინ უნდა მოველოდეთ ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის გენერალურ ბრძოლას.

გათვალისწინებულია თუ არა ეს შესაძლებლობა? არის თუ არა მიზანშეწყობილი ცდა ამხიფათის ასაცილებლად და თუ ეს ვერ მოხერხდა, არის თუ არა უკიდურეს შემთხვევაში ამ საშინელ ბრძოლისათვის სათანადო მზადება? აი ის კითხვები, რომელნიც სადღეისო ხასიათი მიიღეს და, ადრე თუ გვიან, უფრო მწვავედ დაგვიდგებიან მეტის სიმარტივით.

ჩვენი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად არა კმარა მარტოოდენ დიპლომატიურ ხერხებისა და ზომებისადმი მიმართვა. ისეთი დიდი კითხვა, როგორიც არის ეროვნული სახელმწიფოს დამყარება და გამაგრება, უფრო სამხედრო ძლიერებით და ხელმწიფების განმტკიცებით მოიპოვებს გადაწყვეტას, ვინემ განყენებულის ძალით ძმობა-ერთობაზე.

ამიტომ არის, რომ ჩვენი სიმპატიები მებრძოლ მთიელებისადმი არ უნდა განისაზღვრებოდეს მარტო ჩვენის გულწრფელი სურვილით მათი დამოუკიდებლობის შეუბღალველობაში. აქაც ჩვენი საღი, რეალური ინტერესები უნდა გვალაპარაკებდეს, რაც უთუოდ მეტს სიძლიერეს მისცემს იმ დახმარებას, რომელიც აუცილებლად უნდა მიუძღვნათ ჩვენს მეზობელ მთიელებს. მათი დამარცხება გააძლიერებს რუსულ იმპერიალიზმს, ბრძოლისა და წინააღმდეგობის უნარს შეჰმატებს მას

ერთი უნდა იცოდენ კავკასიის ყველა ერებმა: ჩვენს ეროვნულ იდეალებს არა ჰყავს მტერი ძლიერი, თვინიერ რუსეთისა. როდესაც რუსის ერი ფსიხოლოგიიდან ძირიან-ფესვიანად იქნება აღმოფხვრილი ნაშთი ბატონობის დიდმყრობელური მიდრეკილებისა, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია დამშვიდებით ამოსუნთქვა და მთელი ჩვენი შემოქმედებითი ენერგია თვით-განვითარებისა და წმიდა კულტურის გზაზე დავაყენოთ. ჯერ-ჯერობით კი ჯარი და სამხედრო ძლიერება აუცილებელი ფაქტორია ჩვენი თვით-არსებობის დასაცავად და ყოველი მხრიდან მომდგარ მტრების დასამარცხებლად

**ი. ხანანაშვილი.**

## გენ. დენიკინის მოწოდება სოჭის რუსის გლეხოგანსადმი

სოჭის ქალაქის გამგეობა და სომეხთა ეროვნული საბჭო სოჭის ოლქის რუს მოსახლეობის საყურადღებოდ აცხადებს, რომ მის მიერ მოხალისეთა სარდლობისაგან შემდეგი ოფიციალი განცხადებაა მიღებული:

სარდლობას სარწმუნო წყაროებიდანა აქვს შეტყობილი, რომ რუსი მოსახლეობის შეიარაღებული აჯანყება გამოწვეულია იმ პროვოკაციით, რომელსაც ქართველები ავრცელებენ ისინი, ყოველგვარი საშუალებით, სცდილობენ რომ ეს ოლქი საქართველოს შეუერთონ. არავითარი მიზეზი აჯანყებისათვის ჩვენ არ მიგვიცია. მობილიზაცია, რომელმაც ასე ააშფოთა აქაური მოსახლეობა, მკის გათავებამდე გადავდეთ, რათა საგლეხო მეურნეობა არ დაგვეზარალებინა.

მოხალისეთა სარდლობამ წინადადება მოგვცა, განუცხადოთ რუსის მოსახლეობას, რომ თუ ისინი იარაღს დაჰყრიან, დაუსჯელნი დარჩებიან. არავითარ რეპრესიებს, რუსის სოფლებისადმი, მოხალისეთა სარდლობა არ მიჰმართავს, თუ ეს უკანასკნელნი შემდეგ პირობებს აასრულებენ...

1) მოსახლეობა დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს თავის სოფლებს.

2) მოსახლეობამ გადასცეს მთავრობას უცხოელი მოქადაგენი და აგიტატორები, თუ ამისთანანი მათ შორის მოიპოვებიან.

3) და მოსახლეობამ სრულიად არ შეუშალოს ხელი მთავრობას იმ ზომების მიღების დროს, რომელსაც მოხალისეთა სარდლობა ქართველებისა და საქართველოს წინააღმდეგ მიჰმართავს.

ხელს აწერს: სოჭის ქალაქის თავი და თვითმართველობის მდივანი. შემდეგ: სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე, განგეობის წევრი და საბჭოს მდივანი. დასმულია ქალაქის თვითმართველობისა და სომეხთა ეროვნული საბჭოს ბეჭედი.

## მისასალმებელი დეკეშა

საბჭოთა უკრაინიდან გულწრფელ სალამს უძღვნით საქართველოს დამფუძნებელ კრებას, ვინატრებთ მის წევრთაგან მხნე და დაუღალავ მუშაობას სამშობლო ქვეყნის თვითმყოფელობის განსამტკიცებლად. სალამი საქართველოს უნივერსიტეტს და თავისუფალ ქართველ ხალხს.

პროფ. **ნიკო კახიანი** და ინჟ. **ივანე კობახიძე.**

1919 წ. ქ. ალექსანდროვსკი.

## დეკეშა გაგზავნილი საქართველოს საკონტრაგენტოს შესახებ

საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქ. ბერდიანსკში და ქ. ხარკოვში ქართულ საქონლის დასაცავად შემდეგი წინარსის დეპეში გაუგზავნა: „საქართველოს საკონტრაგენტოს, საქონელის ნაწილი დარჩენილია ქ. ბერდიანსკში (თუთუნი, ჩაი, ღვინო შალი და მატყლი). იქ საკონტრაგენტოს რწმუნებულმა, ბ ნმა მაზმანოვმა გაჰგზავნა ინჟ. ი. კობახიძე, რომელსაც დავალებული აქვს საქონლის დაცვა. გარეშე საქმეთა სამინისტრო სთხოვს საბჭოთა მთავრობას, რათა დაცულ იქმნას, როგორც ქართული საქონლის, ისე საქართველოს ქვეშევრდომის კობახიძის ხელუხლებლობა.

## მთავრობის ცნობები

6 მაისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

**დანიშვნა.**

სატრანსპორტო საზოგადოებისათვის გადასაცემ ქონების შემფასებელ კომისიის თავმჯდომარედ იქენ. წერეთელი დაინიშნოს მის კანდიდატად ა. ფარნიაშვილი.

**ქართ. მხატვართა სურათების შესაძენად.**

გადაიდოს 10 მილ. ფონდიდან 100,000 მან. ქართველ. მხატვართა საზოგადოების ზოგიერთ სურათების შესაძენათ.

**შემოქმედის მონასტრის გამძარცველთა საქმე.**

შემოქმედის მონასტრის გამძარცველთა საქმე საგანგებო სასამართლოს გადაეცეს.

**ქუთაისის სამაზრო ერობას.**

1. გადაეცეს ქუთაისის სამაზრო ერობას ყოფილ გუბერნიის სამმართველოს ელექტრონის მანქანა შეფასებით, რომელიც მოხდება სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენლის მონაწილეობით. 2. ფასი უნდა იქმნას გადახდილი ნაღდი ფულით.

**ახალქალაქის და ბორჩალოს სამაზრო ყრილობათა წევრების რიცხვი.**

1) დაწესდეს ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებისათვის სამაზრო საერობო ყრილობათა ხმოსანთა რიცხვი: ბორჩალოს მაზრისათვის—31 ხმოსანი; ახალ ქალაქისთვის კი—29 წ. 2) საფინანსო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

**საზღვარ-გარეთ გასატან მარგანეცზე გადასახადის შესახებ**

საზღვარ-გარეთ გასატან მარგანეცზე მოისპოს ათ-პროცენტიანი საფრახტო გადასახადი.

**თელავის გზატკეცილების გადაცემა თბილისის თვითმართველობისთვის**

თელავის გზატკეცილის უბანი, რომელიც ტერიტორიულად თბილისის ფარგლებში შედის გამოიყოს გზატკეცილების სამართველოს გამგეობიდან და გადაეცეს თბილისის ქალაქის თვითმართველობას.

**მთავრობის მომავალ ბინის გადაკეთებისათვის**

ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის გადასაკეთებელ მუშაობის დასაჩქარებლად დაადგინეს:

1) დაიწყონ მუშაობა ხარჯების იმ გამოანგარიშებით, რომელიც წარედგინა მთავრობას 1919 წელს 29 აპრილს.

2) წინადადება მიეცეს განათლების სამინისტროს, სასწრაფოდ გაანთავისუფლოს ხსენებული შენობა იქ მოთავსებულ დაწესებულთაგან.

3) მოიჯარადრეებთან, ხელოსნებთან, მუშებთან და სხვებთან ანგარიშების გასწორება სწარმოებს მთავრობის წარმომადგენლის შორის მინისტრის ამხანაგის ერაძის დადგენილებისამებრ.

4) წინადადება მიეცეს სატეხნიკო თათბირს, დანიშნოს ერთი ინჟენერი მუშაობის საწარმოებლად და თვალყურის სადევნებლად.

5) მთელი ანგარიშები სწარმოებს შრომის სამინისტროსთან, რომელსაც მუშაობის დამთავრების შემდეგ უნდა წარმოუდგინოს მთავრობას გაცემულ თანხის გასამართლებელი საბუთები.

6) გადაიდოს შრომის სამინისტროს განკარგულებაში ხსენებულ შენობის გადასაკეთებელ ხარჯებისათვის ხაზინის ნაღდი თანხიდან 500,000 მან

7) დაევალოს შრომის მინისტრს წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას კანონ-პროექტი აღნიშნულ მიზნისათვის 500,000 მან. გადადების შესახებ.

## ამბები

**ი. ოცხელის ხსოვნის აღნიშვნა.** ქართულ უნივერსიტეტის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა საეკლესიო პანაშვიდით აღნიშნონ განსვენებულ პედაგოგის ი. ი. ოცხელის ხსოვნა. პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას 11 მაისს.

**მესხეთ-ჯავახელთა დამხმარე კომიტეტში,** მესხეთ-ჯავახელთა დამხმარე კომიტეტს განზრახული ჰქონდა მესხეთ-ჯავახელ ლტოლვილთა სასარგებლოთ პარასკევს და შაბათს (9 და 10 მაისი) სეირნობა და ყულაბებით ფულის შეგროვება მოეწყო, მაგრამ ცუდი ამინდის გამო გადასდო ოთხშაბათისათვის.

**ყარსის ლტოლვილთა წასვლა.** პირველი მატარებლით თბილისიდან ყარსში წავიდა 2200 ლტოლვილი. შემდეგი ლტოლვილთა მატარებელი გავა ყარსისაკენ კვირას დილის 10 ს.

**სომხეთის სახელმწიფო დაწესებულებათა გაეროვნება** ერევანში, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა გაეროვნების დასაჩქარებლად შესდგა საგანგებო კომიტეტი. კომიტეტის წევრებად არიან ადგილობრივ სომხურ გაძეთების რედაქტორები. კომიტეტმა სასტიკი ზომები მიიღო, რათა საქმის წარმოება ყველა დაწესებულებებში სახელმწიფო ენაზედ სწარმოებდეს.

**ჯარში კულტურულ მუშაობისათვის.** სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელი სექცია მოუწოდებს სახალხო ლექტორებს და მასწავლებლებს წაიკითხონ ლექციები მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან ჯარის ნაწილებში.

მსურველთ ვთხოვთ მიმართონ კულტურულ-განმანათლებელ სექციის დრ. გამგეს კაპ. გორგაძეს, სამხ. სამინისტ. მთავარ შტაბის განყოფილებაში, სასახლის ქუჩაზე.

**წერა-კითხვ. საზ. სტიპენდიანთა საყურადღებოდ.** წ. კ. გ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 7 მაისის საგანგებო კრებაზე დაადგინა: თუ ყოფილი სტიპენდიატები, რომელნიც ვალდებულნი არიან სასტიპენდიო წესების თანახმად გადაიხადონ მათ მიერ სესხის სახით მიღებული სასტიპენდიო ფული, ორი კვირის განმავლობაში არ შემოიტანენ მათზე დარჩენილ ვალს გამგეობა იძულებული იქნება გამოაცხადოს გაზეთებში ზემოხსენებულ პირთა გვარი სახელი და ვინაობა.

**მესხეთ - ჯავახეთისათვის.** შაბათს, მაისის 10 ს მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი არტისტიულ საზოგადოების თეატრში და ქალაქის ყველა კინემატოგრაფებში მართავს წარმოდგენებს მესხეთ - ჯავახეთის მცხოვრებთა სასარგებლოდ.

მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ „მესხეთ-ჯავახეთის დღე" ცუდი ამინდის გამო 9 მაისიდან გადაიდო ოთხშაბათს 14 მაისისათვის.

**საზოგადო ძლუბი.** დღეს შაბათს, საღამოს 7 ნახ. საათზე, კავკასიის უნივერსიტეტის სადგომში (გოლოვინსკის ქუჩა, № 10) მოხდება ლექცია ილ. ნაკაშიძისა: „ხალხთა კავშირი". ლექციის შემდეგ დანიშნულია საუბარი, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას აგრეთვე სხვა ლექტორები.

## ერობაში

**სამოსამართლო უბნებად დანაწილება და მოსამართლეთა არჩევა** 2 მაისს დასრულდა თბილისისა და დუშეთის სამაზრო ერობათა ყრილობა. ყრილობამ თბილისისა და დუშეთის მაზრის სამოსამართლო უბნები უკვე დაანაწილა. საუბნო მოსამართლეებად არჩეულ იქმნენ: საგარეჯოისა ბ. ყარანგოზიშვილი; აღბულაღისა—ბარათაშვილი; მანგლისისა—ყიფიანი ყარაიზისა—ღვალვაძე, მარტყოფისა—იოსელიანი და თბილისის გარე უბნისა—ნ. ზაალიშვილი.

**ბინები სასამართლოებისათვის.** ერობის ახლად არჩეულ საუბნო სამართლეებს დაეკვლევა ოფიციალურ ინფორმაციებ-ანგარიშები სასამართლოებისათვის ბინების მონახვა და მოწყობა, ხოლო საამისო ინვენტარის დათმობა ყრილობამ მთავრობას სთხოვა წითელი ჯვრისა, საგუბერნიო სასამართლოსა და ბეჭდვითი საქმის კომიტეტებისაგან, რომელთა ლიკვიდაცია ამ ჟამად ხდება.

**კანონის წიგნები.** ვინაიდან ძლიერ ძნელია სასამართლოებისათვის სახელმძღვანელოთა დაბეჭდვა ერობამ დაადგინა ჩამოერთვას მაზრის კომისრებს ის წიგნები და სახელმძღვანელოები, რომელნიც მათ ხელში გადავიდა მომრიგებელ მოსაართლეთა ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ.

**ბორჩალოს მაზრის საეროობო საარჩევნო კომისია.** ბორჩალოს მაზრის საერობო საარჩევნო კომისია ს. ეკატერინო-ფელდში იმყოფება. კომისია მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ პარტიებსა და ეროვნულ საბჭოებს მონაწილეობა მიიღონ მომავალ საერობო არჩევნებში.

## ბოროტ მოქმედებანი.

**თავდასხმა.** 6 მაისს საღამოს 8 საათზე ორბელიანის ქუჩაზე მიმავალ კ. აგაბარიამ ოღლსა და მ. ამბარცუმ ოღლს თავს დაესხნენ რამოდენიმე შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველნი, წაართვეს 250,000 მანეთი ოქროს საათი ძეწკვით და მიიმალენ.

**თავდასხმა.** 8 მაისს ღამით 5 შეიარაღებული ბოროტმომქმედი თავს დაესხნენ დესიმონოვის მოედანზე № 9 სახლში მცხოვრებ გ. გვაროსიანცს და სიკვდილის მუქარით ათი-ათასი მან. ფულად და სხვადასხვა ნივთები გაიტაცეს. გაქცევის დროს მიუსწრეს მილიციონერებმა და სროლა ატეხეს. მოჰკლეს 1, დაატუსაღეს ერთი, დანარჩენები გაიქცენ.

**გაძარცვა.** 8 მაისს საღამოს, 9 საათზე, ორი შეიარაღებულ ბოროტმომქმედმა გაძარცვეს ჩახმახჩევი (მიხაილოვის ქ. № 124) წაიღეს 20,000 მანეთი.

**თავდასხმა** 8 მაისს ღამით ისაკოვის ბინაზე (ბებუთოვის ქ. № 13), შევიდა რამდენიმე მძარცველი და სიკვდილის მუქარით 13,000 მანეთი წაიღეს და მიიმალნენ. ეშვით დაეპატიმრეს მეეზოვე.

**ქურდობა.** 7 მაისს ღამით ვ. ბიტაძის ბინიდან, (ალექსანდროვის ქუჩა № 50) ბოროტმომქმედმა 15,000 მანეთად ღირებული ნივთები და 400 მანეთი ფულად მოიპარეს.

## სამხატვრო ძრწნიკა

**სახალხო სახლი.** სახ. სახლ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის ფონდის გასაძლიერებლად წარმოდგენილი იქნება „ტარტიუფი".

## პროვინციის ცხოვრება

### ქუთაისი.

ამ მოკლე ხანში დამსახურებულ მსახიობ ქალს ნინო ჩხეიძეს მისი სასცენო მოღვაწეობის გამო იუბილეს გაუმართავენ

სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა დაეპატიმრა და საგუბერნიო ციხეში მოათავსა ქალაქის მცხოვრებნი: ივანე სამსონის ძე მეკვანაძე და ალექსანდრე დავითის ძე საყვარელი ძე. პირველს ბრალდება ქურდობა, ხოლო მეორე, როგორც რესპუბლიკისათვის მავნე პირი.

## მ. ო. გრუზენბერგი

თბილისის ვექილთა კორპორაციას მოაკლდა ერთი თვალსაჩინო ვექილი: შავი სახადით გარდაიცვალა დამსახურებული ნაფიცი ვექილი და საზოგადო მოღვაწე მ. ო. გრუზენბერგი.

ებრაელთა შორის გრუზენბერგი ცნობილი ოჯახის შვილია 25 წლის წინეთ ჩამოვიდა თბილისში და თვალსაჩინო ადგილი დაიკავა აქაურ ვექილთა წრეში. განათლებული იურისტი, შესანიშნავი მცოდნე სენატის პრაქტიკისა და ანალიზიური ნიჭით დაჯილდოვებული ვექილი, თანდათან იხვეჭდიდს სახელს თბილისს გარეთაც, და მით მეტს უკმაყოფილებას იწვევდა ძველი მთავრობის მოხელეებში, რომელთა წყალობით ცნობილი ვექილი დიდი ხნის განმავლობაში ნაფიც ვექილთა თანაშემწის ხარისხს ვერ სცილდებოდა.

ყოველივე სიახლე ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მხურვალე გამოძახილს ჰპოულობდა მასში და ხშირად იგი აქტიური მებრძოლიც იყო მრავალ საზოგადოებრივ საქმეში.

ყველას ახსოვს მისი მხნე და გამოცდილი მუშაობა თბილისის ნაფიც ვექილთა საბჭოს დაარსებისათვის, რის-

თვისაც განსვენებულს არა ერთი მოხსენება დაუწერია და პირადათაც უმოღვაწია პეტროგრადში.

ასეთივე თავგამოდებით იცავდა იგი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების საქმეს და ეხლა, როდესაც ეს ინსტიტუტი თითქმის ჩამოყალიბდა, გრუზენბერგის მცოდნე და ავტორიტეტული აზრი მეტად ძვირფასი იქნებოდა.

საქართველოს მთავრობის მიერ იგი მიწვეული იყო იმ კომისიაშიაც, რომელსაც მინდობილი აქვს საქართველოს სენატის დებულების შემუშავება და მისი მრავალ წლოვანი პრაქტიკა დაუფასებელი იქნებოდა ჩვენთვის.

მაგრამ მ. ო გრუზენბერგის მოღვაწეობა არ ამოიწურება მარტო როგორც იურისტის, ჩვენ ყველას გვახსოვს მცხოვანი ვექილის ჯალარა სახე თბილისის ქალაქის საბჭოს სხდომებზედ, სადაც მისი სიტყვა ყოველთვის პირუთვნელი და უაღრესათ ობიექტიური იყო..

ტომით ებრაელი, მხურვალე პატრიოტი თავისი ხალხისა, იგი გულწრფელი მეგობარი იყო ქართველი ერისა და როდესაც ქალაქის საბჭოში, სომხებმა და რუსებმა ანტი-ქართული ბლოკი შეჰკრეს, მ. ო. გრუზენბერგი, მახვილი კრიტიკით ანადგურებდა მათ. ესეთივე იყო იგი ებრაელთა წრეებშიც, სადაც იგი ერთი იმათაგანი იყო, ვინც იცავს ქართველ ისრაელთა ეროვნულ უფლებებს.

და ამ პატიოსან ადამიანის სიკვდილი მით უფრო სამწუხარია ჩვენთვის იმ დროში, როდესაც ძალიან ბევრი გვყავს მტერი, მაგრამ ძრიელ ცოტა მეგობარი და განსაკუთრებით ისეთი, როგორიც განსვენებული იყო.

## მრეწველობა

**საქართველოს სამთა-მადნო სიმდიდრე.**

მცირე აღწერა საქართველოს სამთა-მადნო სიმდიდრისა და მისი ნიშვნელობა საქართველოში სამთო მრეწველობის განსაფართოებლად ასეთია:

საქართველოს ტერიტორიაზე არის 450 მადანი 18 სხვა და სხვა დარგისა მათში არის: ნავთის 69 წყაროს სპილენძის 68 წყაროს, ნახშირის—56, ტყვია ვერცხლისა—55, შავი ქვისა—45, რკინისა—31, გოგირდისა—23, მარილისა—22, თუნუქისა (цинкъ)—11 სურმისა—8, ოქროს ნიშნები—6 და სხ.

ჭიათურის შავი ქვა უპირველესია მთელ დედამიწის ზურგზე და შეიცავს მდიდარ მინერალს—პიროლიუზიტს, რომ 22 წლის განმავლობაში (1892—1916 წ.) შიათურიდან გაუტანიათ 635.295.000 ფუთი შავი ქვა და არის კიდევ გამოკვლეული 6,5 მილიარდი ფუთი მადანი.

ყურადღებას იქცევს ტყიბულის ქვანახშირი, მისი სიმძლავრე 11—12-საჟ. ნახშირიან ფენებით. სულაა გამოკვლეული 6 მილიარდი ფუთი. შემდეგი ყურადღება მიქცეულია ტყვარჩელის ქვანახშირზე, რომელსაც ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ეს საუკეთესო ქვანახშირი 9000 კალორიის სითბოს სიძლიერისა, აძლევს 68 პროც. კოკსს და სიმძლავრე აქვს 2,84—8,25 მეტრი. გამოკვლეულ ნახშირის რაოდენობა უდრის 13 ნახ. მილიარდ ფუთს.

შემდეგია ჩვენი სპილენძის მადნეულობა ნავთის მოსალოდნელი გამოსავლები, მინერალური წყლები და ტალახები, აგრეთვე სხვა მინერალების და მადნეულობების მდგომარეობანი და სიმდიდრენი.

ჯერ ცალკე: ბათომის ოლქის სპილენძისა და ოქრო ნარევ მადნის საკითხი.

**ჩათახის თუჯის ქარხანა.**

ჩატახში, ბორჩალოს მაზრაში, არსებობს თუჯის ჩამომხსმელი ქარხანა. ეს ქარხანა მუშაობდა იქვე ჩატახის რკინის მადნით, ხოლო უკანასკნელ დროს შეჩერებულია

ჩატახში გამოკვლეულია დაახლოებით 500,000,000 ფუთი რკინის მადანი, საერთო შემადგენლობით 50 პროც. რკინისა. ამ მადნის დამუშავება და თვით თუჯის ქარხნისაც შესაძლებელია პატარა მასშტაბით, როდესაც ჩვენ გვექნება საკუთარი კოკსი (გულისხმება ტყვარჩელის ნახშირიდან).

დღეს დღეობით ამ ქარხანაში ინახება დარჩენილი ქონება შენობების ფარდა, 12 სხვა და სხვა დაზგა, საჭვეთი, სახარატო და სხვა. 12 ათასამდე ფუთი თუჯი, ხის მწდელები თუჯის ჩამოსასხმელ სხვა და სხვა ნაწილებისა, ორი ასაწევი ონკანი 100 ფუთიანი სიმძლავრისა და სხვა. ამ ქონების დასაცავად მიჩენილი ჰყავს სათანადო დარაჯი.

**ართვინის ოლქის წარმოება.**

აღსანიშნავია ართვინის ოლქის ორი უდიდესი წარმოება სპილენძისა და საუკეთესო ამერიკის ტიპის ქარხნებისა ძანძულში და კვარცხანაში. თითეული მათგანი ნავარაუდევია — 200,000 ფუთი სპილენძის გამოდნობაზე წლიურად. მადანი გამოკვლეულია პირველისა 400,000 ფუთი, ხოლო მეორისი 35,000,000 ფუთი. ეს უკანასკნელი შეიცავს ვერცხლსაცა და ოქროსაც.

## საქართველოს საელჩოების გაუფრთხილებლობა

ჩვენ თანამშრომელს ქ. ბერდიანსკიდან ინ. ივ. კობახიძე მთავრობისა და პრესის საყურადღებოთ ატყობინებს: „საქართველოს მისიები და საელჩოები საბჭოთა უკრაინაში და საბჭოთა „დიდ რუსეთში“ საქართველოსკენ წამოსასვლელ ნებართვებს აძლევენ ყველას, საქართველოს არა ქვეშევრდომთაც. ამჟამად საქართველოსკენ მეტად საეჭვო პირები მოდიან მე პირადათ შევხვდი ორ პირს, რომელნიც თბილისისკენ მოდიოდენ საქართველოს მისიის ნებართვით და ლენინის მოციქულები კი იყვნენ.

საქართველოს მისიები და საელჩოები უხერხულ მდგომარეობაში არიან, ვინაიდან ამჟამად ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში შესვლა მხოლოდ საქართველოდან შეიძლება, ისინი იძულებული არიან ყველას მისცენ ნებართვები ფოთისკენ და კავკასისკენ წამოსასვლელად. ბოროტი მიზნით საქართველოში მომავალნი ამით სარგებლობენ და ჩვენს საელჩოებს ეუბნებიან: „გაგვიშვით არარატში და აზერბაიჯანში მივდივართო“ გამოდის, რომ საქართველოს წარმომადგენლები თვითონ აძლევენ საქართველოში წამოსასვლელ ნებართვებს ჩვენი რესპუბლიკის მტრებს. საჭიროა ეს გარემოება სასწრაფოდ მხედველობაში მიიღოს ჩვენმა მთავრობამ და საზღვარზე რომ გაისინჯოს ყველა მოსულები და შემდეგაც თვალ-ყური ადევნონ...

## აზერბაიჯანი

**მატარებელთა მოქმედების განახლება.**

როგორც აზერბეიჯანის მისია იტყობინება რკინის გზის მუშათა გაფიცვები აზერბაიჯანში დასრულებულა გუშინ წინ დილით თბილისში ჩამოვიდა შათირი, რომელიც ირწმუნება, რომ რკინის გზაზე მოძრაობა შეუფერებლად სწარმოებსო.

**გაფიცვები ბაქოში.**

ბაქოს მუშათა საერთო გაფიცვა ჯერ კიდევ გრძელდება.

## სომხეთში

**გუმბრი.**

გუმბრიდან ყარსის ლტოლვილები სამშობლოში დაბრუნდნენ. სურსათის მხრით მდგომარეობა, ლტოლვილთა წასვლის გამო, უკეთესდება.

გუმბრის გარშემო მცხოვრები მაჰმადიანობა სომხებთან ძველებურად მტრულ განწყობილებაში აღარ არის. ეხლა გუმბრში საქონელიც კი შეაქვთ პურის გარდა თითქმის ყველაფერი შედარებით იაფია.

**არჩევნები გუმბრში.**

საქალაქო არჩევნები გუმბრში დასრულდა. „დაშნაკელებმა“ გაიყვანეს 38 სომეხთა ეროვნულმა პარტიამ 9 და სოციალისტურმა ბლოკმა 5 კაცი.

## საზღვაო ხელშეკრულების პროგეგი

**გერმანული პრესა**

გერმანიამ უნდა აღიაროს საბჭოთა გაუქმება ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებისა და ყველა ხელშეკრულებისა და ყველა შეთანხმებისა, რომელიც 1917 წლის ნოემბრიდან გერმანიამ დასდო ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე არსებულ მთავრობებთან და პოლიტიკურ პარტიებთან.

მოკავშირენი რუსეთს უტოვებენ ყველა უფლების დაკმაყოფილებისა და იმ ზარალის ანაზღაურებისას, რომელიც რუსეთმა გერმანიისაგან უნდა მიიღოს ამ ხელშეკრულების ძალით.

გერმანიამ მოკავშირეების სასარგებლოდ უარი უნდა სთქვას ყველა ოკეანის გაღმით მდებარე სამფლობელოზე; გერმანიამ აგრეთვე უარი უნდა სთქვას ყველა უფლებაზედ და პრივილეგიაზე, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა. ალფიზირასის, 1909 და 1911 წ. საფრანგეთ-გერმანიის შორის და დადებულ ხელშეკრულებით და აგრეთვე შერიფის იმპერიასთან, (მაროკო) დადებულ ყველა ხელშეკრულებასა და შეთანხმებაზე.

გერმანია აღიარებს დიდი ბრიტანეთის პროტექტორატს ეგვიპტეზე და უარს ამბობს ყველა კაპიტულაციებზე და ეგვიპტესთან როგორც 1914 წ. აგვისტოს 4 დადებულ ისე სხვა ხელშეკრულობაზე. გერმანია მოვალეა არ ჩაერიოს არც ერთ მოლაპარაკებაში, რომელსაც ამის შესახებ დიდი ბრიტანია სხვა სახელმწიფოსთან გამართავს. გერმანია თანხმობას აცხადებს, რომ სუეცის არხზე თავისუფალ ნავოსნობის ოსმალეთისაგან მიღებული უფლებები ინგლისს გადაეცეს, გერმანიაში შეზიდული ინგლისურ ეგვიპტული საქონელი ისევ ისევე უპირატესობით სარგებლობენ, როგორც ინგლისური საქონელი.

გერმანია იაპონიას უთმობს კიაოჩაიოს ყველა უფლებებს და უპირატესობებს, რკინის გზებს, მაღაროებს და კაბელებს, რომელიც გერმანიამ შეიძინა შანდუის შესახებ ჩინეთთან 1898 წ. მარტის 6 დადებულ და სხვა ხელშეკრულობის ძალით. იაპონიის ხელში გადადის აგრეთვე ციდაო-ციმფუს რკინის გზისა და მაღაროების ექსპლოატაციის და მადნის დამუშავების ყველა უფლება. გერმანიის იქ მყოფი მთელი საქონელი უფასოთ იაპონიის ხელში გადადის.

სამხედრო პირობები გულისხმობს საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ ორი თვის განმავლობაში გერმანიის არმიის დემობილიზაციას როგორც საყოველთაო განიარაღებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს. უნდა გაუქმდეს გერმანიის ტერიტორიაზე ყველა ბანაკები და სამხედრო დაწესებულება და დაქირავებულთაგან ჯარის შედგენა კანონის ძალას მიიღებს.

გერმანიის ჯარის საერთო რიცხვი 100,000 განისაზღვრება, ამ რიცხვში შედის აგრეთვე არა უმეტეს 4000 ოფიცერი. გერმანიის ჯარის მოვალეობა იქნება საერთაშორისო წესრიგის დაცვა და საზღვრების დაცვა. უმაღლესი სარდლობის მოქმედება ადმინისტრატიულ ფარგლებით განსაზღვრება. გერმანიას ეკრძალება იყოლიოს გენერალური შტაბი. სამხედრო სამინისტროს სამოქალაქო პერსონაჟი და სხვა მაგვარი დაწესებულებანი უნდა შემცირდეს ისე, რომ დარჩეს მხოლოდ 1913 წელს არსებულ რაოდენობის მეათედი ნაწილი. საომარი მასალა, იარაღი და სხვა საქონელი მხოლოდ იმდენი უნდა დამუშავდეს, რამდენიც საკმარისი იქნება ისეთი რაოდენობის ჯარისთვის, როგორის დატოვებას ნება დართულია. მთელი ზედმეტი იარაღი, ზარბაზნები და მასალა მოკავშირეთა განკარგულებაში უნდა გადაიცეს. სრულიათ შესწყდება გერმანიაში მოშხამულ და ცეცხლის წამკიდებელ გაზების, ტანკების და აგრეთვე ჯავშნიან ავტომობილების შეზიდვა. გერმანელები მოვალენი არიან მოკავშირეებს შეატყობინონ ასეთი ქარხნების სახელწოდება, ადგილი და აგრეთვე მათი ღირებულება. გერმანიას აკრძალული აქვს საომარ მასალის და იარაღის დამუშავება და სხვა სახელმწიფოსათვის მიყიდვა, გერმანიას ნება არა აქვს რეინის აღმოსავლეთით 50 კილომეტრის მანძილზე შეინახოს ან ააშენოს რაიმე სიმაგრეები, ნება არა აქვს აგრეთვე ამ სივრცეზე იყოლიოს დროებითი ან მუდმივი ჯარი. სიმაგრეთა განიარაღება 3 თვის განმავლობაში უნდა მოხდეს.

საზღვაო პირობებით გერმანიის საზღვაო ძალები არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ რაოდენობას: „დრეტშლანდ“-ის ან „ლოტარინგია“-ს ტიპის 6 საბრძოლო გემი, 6 მსუბუქი კრეისერი, 12 გამანადგურებელი და 12 სანაღმო ნავი; დაღუპულ ხომალდების შესავსებათ ამდენივე უნდა აშენდეს. წყალქვეშა ნავები გერმანიამ არ უნდა იქონიოს და ყველა ის გემი, რომელიც ეხლა შენდება ან რეზერვში უნდა იქნეს დატოვებული ან სხვა მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული. 2 თვის შემდეგ მეზღვაურთა, მათ შორის ოფიცრებისაც, რიცხვი 15,500-ს არ უნდა აღემატებოდეს ის გემები, რომელიც მოკავშირეთა ან ნეიტრალურ ნავთსადგურებშია დაკავებული მოკავშირეებს უნდა გადაეცეს. 2 თვის განმავლობაში მოკავშირეთა ნავთსადგურებში უნდა გადასცენ აგრეთვე ის გემები, რომელიც ხელშეკრულებაშია გამოთვლილი და ამ ჟამად გერმანიის ნავთსადგურებშია. გერმანიამ თავის თავზე უნდა მიიღოს იმ გემების განადგურება, რომელიც ეხლა შენდება.

(გაგრძელება იქნება)

## დიპლომატია

(საქ. დეპ. საგენტო).

**9 მაისი.**

### ინგლისური პრესა.

**გერმანია და რუსეთი.**

გერმანიის ეროვნულ ყრილობის სამშაბათს სხდომის გამო გაზ. „ფორვერტსი“ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლების შესახებ სწერს; ლენინმა და ტროცკიმ ქვეყანას დაანახვეს ბოლშევიზმის უსაზიზღრესი მხარე. გერმანიას ბოლშევიზმთან დაძმობილება კი არა სურს, არამედ საერთო სარგებლობისთვის რუსის ერთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება.

**გერმანელთა გემები**

გემები „ატრეუსი“ და „ნავარა“ რომელზედაც გერმანელები იყვნენ და რომლებიც ჩინეთიდან მარტში წამოვიდნენ აპრილში როტერდამით ეზელში მოვიდნენ. მოელიან მესამე გემს რომელზედაც შანხაიდან წამოსულ გერმანელთა ოჯახებია.

**კანონ-პროექტი მუშათა საბჭოებზე**

შრომის სამინისტრომ შეადგინა მუშათა საბჭოების წევრთა შესახებ კანონის პროექტი. საბჭოთა წევრები გასწევენ მუშა-მოსამსახურეთა დეპუტაციის მაგიერობას, მაგრამ მათი უფლებები გაფართოებული იქნება, სახელდობრ, მუშათა მიღება-დათხოვნის დასტური მათ უნდა მისცენ.

**ქვანახშირის მოზიდვის განახლება გერმანიაში.**

რურის ოლქში გაფიცვების შეწყვეტის შემდეგ უკანასკნელ კვირაში ქვანახშირის მოზიდვა გაძლიერდა. უკანასკნელ დღეებში 200,000 ტონი ქვანახშირი მოაქვთ ყოველდღიურათ. ეშვს გარეშეა, რომ ამას მოყვება რკინის გზის მოძრაობის გაუმჯობესება. უმთავრეს ლიანდაგებზე მოძრაობა სულ მოკლე ხანში იქნება აღდგენილი.

**მდგომარეობა მიუნხენში.**

მიუნხენში მძიმეების დახოცვით და სპარტაკელების წინააღმდეგობით გამოწვეულ მღელვარების შედეგად დიდი საშინელება მოჰყვა: მაისის 6 საღამოთი, მიუხედავათ აღკრძალვისა, ქალაქის ჩრდილოეთის ნაწილში შესდგა მიტინგი, რომელსაც 30,000 კაცი დაესწრო. მიტინგი სკაუტების რაზმმა დაშალა დაპატიმრებულების ციხეში გაგზავნას აპირობდენ, მაგრამ გზაში ასტყდა სროლა, რადგან ბავარიის ჯარის კაცებს ეგონა, რომ სპარტაკელები დაესხნენ თავს. მოკლულია 31 კაცი. დამნაშავენი დააპატიმრეს და სამხედრო სამართალში მისცეს. გენ. ოვენი და მეილი სწუხან ამ ამბის გამო. მათ მკაცრი ბრძანება გასცეს, რომ ყოველ ჯარის კაცს, რომელიც უსაბუთოდ გაისვრის თოფს, დახვრიტენ, როგორც ყაჩაღს. მეორე მხრით ეს შემთხვევა ჰმოწმობს, რომ მძიმე და პასუხისაგებ საქმის გაკეთება შეუძლია მხოლოდ ესეთ ჯარს, რომელიც მიჩვეულია რკინის დისციპლინას და დაუბრკოლებლივ ასრულება ოფიცერთა ბრძანებას.

**საზავო პირობების გადაცემა.**

ვერსალიდან მიღებულ ცნობებით გერმანიის წარმომადგენლებს საზავო პირობები გადასცეს ტრიანონის სასახლეში მაისის 7, შუადღის 3 საათზე. გერმანიის მხრით დაესწრენ: ეხლანდელი მინისტრები: გრაფი ბროკდორფი რანტცაუ, ლანდსბერგი და გისბერტი, პრეზ. ლენერტი, პროფ. შუკიმგი, დ-რ მელხიფრი, დირექტორები: სიმონსი და ფონ-სტოკჰა მერნი და საელჩოს მრჩეველი რედიგერი. მოკავშირეთა წარმომადგენლები კლემანსო, ვილსონი და ლოიდ ჯორჯი. გერმანიის დელეგაციის შემოსვლისას ფეხზე ადგნენ. კონგრესის გახსნის გამო კლემანსოს მისასალმებელ სიტყვის შემდეგ გრაფმა ბროკდორფ-რანტცაუმ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ბატონებო! ჩვენ მოხარული ვართ, რომ დაგვაკისრეს ისეთი დიდი საზეიმო საქმე, რომელმაც ერთ ალაგას შეგვყარა, მთელ ქვეყანას რაც შეიძლება ჩქარა მივცეთ მტკიცე ზავი, ჩვენ სრულებით არ ვატყუებთ ჩვენ თავს და არ ვმალავთ ჩვენ დიდ დამარცხებას და ჩვენი ძალების უკიდურეს სისტსტეს. ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის სამხედრო ძალა განადგურებულია. ჩვენ კარგათ ვგრძნობთ იმ სიძულვილის ძალას, რომელიც აქ გარს გვარტყია. ჩვენ მოვისმინეთ პათეტიური მოთხოვნილება რომ გამარჯვებულებმა ჩვენ უნდა გავასამართლოთ არა მარტო როგორც დამარცხებული მტერი, არამედ როგორც დამნაშავენი.

ჩვენ სრულებით არ გვინდა იმის თქმა, რომ მსოფლიო ომი დაიწყო. (გამოტოვებულია). გერმანია რომელიც დარწმუნებული იყო. რომ ის მოგერიებითი ომს აწარმოებდა. დამნაშავე არ არის. არავის ჩვენთაგანს არ სურს იმის მტკიცება, რომ შეცდომა ჩადენილ იქმნა იმ საბედისწერო ჟამს, როდესაც ავსტრია-ჰუნგრეთის ტახტის მემკვიდრე მოჰკლეს. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ევროპის ყველა სახელმწიფოთა იმპერიალიზმი შხამავდა პოლიტიკურ რევანშის საერთაშორისო მდგომარეობას. გავლენის სფეროთა გაფართოების პოლიტიკა და ის გარემოება, რომ სხვა და სხვა ხალხს არ აძლევდენ ერთა თვით გამორკვევის უფლებას, ხელს უწყობდა იმ უბედურ მდგომარეობის შექმნას, რომელსაც უაღრესათ გამწვავების შემდეგ, მსოფლიო ომი მოჰყვა. რუსეთის მობილიზაციამ საშუალება მოუსპო სახელმწიფო პირებს მდგომარეობა გამოესწორებიათ. და უთანხმოების გადაწყვეტა იარაღს მიანდო.

### ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი.** მაისის 8 ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი ოლონეცის მიმართულება. მოწინააღმდეგე ფინეთის საზღვრებისაკენ იხევს. ოლნეცთან ჩვენმა ჯარმა ხელში ჩაიგდო ზარბაზნები, ტყვიის-მფრქვეველები. ავტომობილები სურსათის საწყობები და სამხედრო მასალა. პსკოვის რაიონი. იზბორგის დასავლეთით ბრძოლაა. ვილნოს რაიონი. ნოვოსვენციანის მიმართულებით ჩვენი ჯარი უკანან იხევს. სამხრეთის ფრონტი. იუზოვის რაიონი. ჩვენ ბრძოლით რამდენიმე სოფელი დავიპირეთ ლუგანის რაიონი. ბელაიასთან მოწინააღმდეგეს იერიშები მოვიგერიეთ. ალექსანდროვო-გრუშევის მიმართულებით, ბისტრიანსკის და ეკატერინსკის შუა მდ. დონეცის მარჯვენა ნაპირზე გადავედით ბრძოლით 3—5 ვერსით წინ წავიწიეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ. ტიხორეცკის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. ანინჩის მარჯვენა მხარეზე ჩვენ პრიუტონოე დავსტოვეთ. აღმოსავლეთის ფრონტი. ნიკოლაევის რაიონი. ჩვენმა ჯარმა მალოუზჩინსკისაკენ დაიხია. ურალის რაიონი. მოწინააღმდეგემ სვოლევსკოე დაიპირა. ორენბურგის რაიონი. ჩვენ ჯარს პოკროვსკოე-რიბინასის ხაზი უჭირავს. ორენბურგის დასავლეთით ბრძოლაა.

**გერმანიის დელეგატების რწმუნებულება.**

გაზ „ტანი“ გერმანიის დელეგატების რწმუნებულების შესახებ სწერს, რომ მათ რწმუნებულების ქაღალდზე ხელი არ უწერია პრუსიის ეროვნულ პარლამენტს. ამაზე უნდა შევნიშნოთ, რომ ზავი გერმანიის ცალკე შტატებთან კი არ უნდა შეიკრას, არამედ გერმანიის ცენტრალურ მთავრობასთან რომლის კანონიერი რწმუნებულებაც გერმანიის დელეგატებს აქვთ. სახელმწიფო კომიტეტს და ეროვნულ ყრილობებს შეუძლიათ მხოლოდ მიიღონ ან უარჰყონ საზავო მოლაპარაკების შედეგი. მაგრამ კონსტიტუც. ძალით მოლაპარაკების დასაწყებათ მათი თანხმობა საჭირო არ არის. დროებითი სახელმწიფო კონსტიტუციის ძალით პრეზიდენტი საგარეო საქმეებში სახელმწიფოს წარმომადგენელთა და მის მიერ ხელ-მოწერილ და პრემიერ მნისტრის მიერ დადასტურებულ რწმუნებულებას ისეთივე ძალა აქვს, როგორც საფრანგეთის რწმუნებულებას, რომელშიაც ნათქვამია, რომ ხელშეკრულება პარლამენტმა უნდა დაადასტუროსო.

**იტალიის დელეგაცია პარიზში.**

იტალიის საზავო დელეგაცია ორლანდოს და სანონოსთან ერთად ოთხშაბათს პარიზში ჩამოვა, რათა იმავე დღეს ვერსალში სასტუმრო „დე რეზერვუარ“-ში გერმანელებს საზავო ხელშეკრულობა გადასცეს.

იტალიელები წარდგენილ პირობების შემდეგ პარიზში ბრუნდებიან.

**ვილსონი და ფიუმეს საკითხი.**

ამერიკის საზავო კომისიის დელეგატმა განაცხადა: ის გარემოება, რომ ვილსონმა მონაწილეობა მიიღოს იტალიელების მოწვევაში, სრულებით არ მოალწევებს, რომ აზრი შეეცვალოს ვილსონს ფიუმეს და ადრიატიკის საკითხებში.

**იტალელთა და გერმანელთა მანდატები.**

იტალიელებმა უკვე გამოგზავნეს თავისი რწმუნებულების ქაღალდი რომელიც ისევე, როგორც გერმანელების მანდატები კანონიერათ სცნეს.

**მოკავშირეთა კრება**

ხვალინდელი დღე ისტორიაში იქნება შეტანილი, გერმანიასთან მეორმარ ყველა სახელმწიფოს დახურულ საერთო სხდომად, რომელიც ხვალ საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში შესდგება, მთელი ქვეყნიერებისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებენ.

**კაიზერის ბედი.**

ომის პასუხისმგებლობის კომიტეტი წინადადებას იძლევა ნიდერლანდიის მთავრობას თხოვნით მიმართონ, რომ კაიზერი გასცენ საერთაშორისო სამართალში მისაცემათ.

### ინგლისური პრესა.

**ჩინეთის უკმაყოფილება.**

ჩინეთის დელეგაცია უკმაყოფილოა შანდუმის საკითხის გადაწყვეტილებაზე მზად არის თავის რწმუნებულებაზე უარი განაცხადოს. მაკინომ დღეს გაზეთების წარმომადგენლებს აუწყა, რომ იაპონია მზათ არის შანდენი ჩინეთს მოკლე ხანში გადასცეს. მან უარი განაცხადა დაწვრილებით ცნობების მიცემაზე.

**ხალხთა ლიგა.**

დღეს ხალხთა ლიგის სხდომა პიშონის მეთაურობით შესდგა. ამერიკის მხრით ჰაუზი დაესწრო. დიდი ბრიტანეის მხრით—სესილი. იტალიის მხრით—იტალიის ელჩი დრუმანდს დაევალა მონახოს დროებით შენობა უთუოდ ლონდონში და შეადგინოს მოსამსახურეთა შტატი.

**იტალიის გარშემო.**

საფრანგეთის პრესა მიესალმება იტალიელების დაბრუნებას, როგორც ლათინთა ერს გაერთიანების გამარჯვებას. გამარჯვებას. ამერიკის ოფიციალური წრეები ამას სრულიად სხვა გვარათ უყურებენ. ისინი ლაპარაკობენ, რომ ვილსონი არც ერთი ნაბიჯით თავის გამოთქმულ რწმენიდან არ დაიხევს ავსტრიელების მოწვევა მათი აზრით წარმოადგენს ვილსონის დიპლომატიის შედეგს. იტალიელები დარჩებოდნენ გვერდზე იმ დროს, როდესაც მტრებს ზავის პირობებს ჩაბარებდენ. საკითხი ადრიატიკის შესახებ კიდევ განსახილველია და იტალიელებს დაბრუნების გამო არ შეიძლება იფიქროთ, რომ ურთიერთ შორის შეთანხმება—კომპრომისები მიღებული იქნება.

**ბელგიის ზარალის ანაზღაურება.**

ამერიკის დიპლომატმა განაცხადა რომ დაინტერესებულ ქვეყნების დამაკმაყოფილებული შეთანხმება მოხდა ბელგიის მოთხოვნილების შესახებ, უმეტეს ნაწილათ 500 მილიონის ზარალის ანაზღაურების შესახებ.

**ავსტრიის და ჰუნგრეთის დელეგატები.**

ჰუნგრეთის დელეგატები 13 მაისისთვის არიან მოწვეული. ავსტრია-ჰუნგრეთის ხელშეკრულების შედგენას ხუთშაბათს დაიწყებენ.

ჰფიქრობენ, რომ ავსტრიის დელეგატების და ჰუნგრეთის ახალი მთავრობის მოწვევა რომელმაც ბოლშევიკები დაამარცხა, იყო მიზეზი იტალიის კაპიტულიაციის რადგან მას დაუმტკიცეს, რომ მოკავშირეები თუ კი აუცილებელი შეიქნა, უიტალიოთ ზავის შეკვრას აპირებენ.

**საზავო ხელშეკრულების ტექსტი.**

საზავო ხელშეკრულების ტექსტი 5 საათის სხდომის შემდეგ მებრძოლმა სახელმწიფოებმა მიიღეს. მიიღეს აგრეთვე პირობა კაიზერის გასამათლების შესახებ, საკითხი გერმანიის ფლოტის ჩაძირვის შესახებ, ღია დარჩება, რადგან ყოველ შემთხვევაში საოკეანო ფლოტს გერმანიას არ დაუბრუნებენ.

გერმანიის დელეგატებს საზავო ხელშეკრულობის 200 ასლს გადასცემენ.

## ცნობები საქართველოს შესახებ ევროპაში

I.

ყველასათვის ცხადია რომ ევროპიელნი სულ არ გვიცნობენ და თუ გვიცნობენ მეტად ცალმხრივად. ევროპის მასსა ჩვენ შესახებ იმ ცნობებით იკვებება, რასაც ყოველ-დღიური გამოცემები აწვდიან. მან არ იცის თუ რას წარმოადგენს ქართველი ხალხი დღეს და როლი უთამაშია მას წარსულში. ეს კი ეხლა ჩვენთვის მეტად საჭიროა, ამას, თუ არა ვსცდები, ქართველი ხალხი ყველაზე ნაკლებ მნიშვნელობას აძლევდა და იმ დროს როდესაც ჩვენი მეზობლები თავის დამოუკიდებლობისათვის სასარგებლო ცნობებს თავითვე მოჰფენდნენ ხოლმე ქვეყანას, ჩვენი ამბები ევროპამდე ან სულ არ მიიღწევდა და ან ათასჯერ გადამახინჯებული თუ მიუვიდოდა... ჩემის აზრით ჩვენის საზოგადოებისათვის საგულისხმიერო იქნება გამოვაქვეყნო ის ცნობები, რომელნიც საქართველოსა და ქართველებს ეხებოდა.

ეს ცნობები მე მომყავს ისევე უსისტემოდ, როგორც ევროპაში მიდიოდა ორი წლის (1917-18) განმავლობაში.

მკითხველი ადვილად წარმოიდგენს იმ სამწუხარო შთაბეჭდილებას, რომელსაც ეს ცნობები უცხო მკითხველზე მოახდენდა.

ხელთა მაქვს ორი წლის ფრანგული და ბულგარული სხვა და სხვა მიმართულების გაზეთები, საიდანაც მომყავს ეს ცნობები. აი ეს ამონაწერები:

**ჩხეიძის გავლენა.**

ბერლინი, მარტის 26. „ლოკალანცაიგერი“ ჟენევიდან იტყობინება: მოკავშირეთა დიპლომატები უკმაყოფილონი იერიან იმ დიდი გავლენით, რომელიც ახალ მთავრობაზე სოციალისტური ბლოკის ბლოკიდან, ბორჩალოს ბლოკიდან, ბორჩალოს ბლოკიდან, ბორჩალოს

ლისტთა მეთაურს, ჩხეიძესა აქვსო. პარიზის გაზეთების პეტროგრადის კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ჩხეიძის და მის მეგობართა პოლიტიკური გავლენა დღითი-დღე ყოველ მხრივ იზრდება.

**ანარქია საქართველოში.**

როტერდამი 3 აგვისტო. კავკასიიდან მოსული ცნობებით მდგომარეობა იქ გართულებულია. თბილისი და ბაქო ბოლშევიკთა ხელშია. რკინის გზის ორ მესამედ ნაწილზე მოძრაობა შეჩერებულია. სოფლები უარს ამბობენ სანოვაგის მოცემაზე. ანარქიამ სამხრეთ ნაწილში იქამდინ მიაღწია, რომ პატარა ქალაქებს და სოფლებს შეიარაღებული ბრბო უფლობს.

**არეულობა საქართველოში.**

ჰაგა, აგვისტოს 14. მოსულ ამბებიდანა სჩანს, რომ მდგომარეობა საქართველოში სერიოზულ ხასიათს იღებს. მთელი მხარე ანარქიითაა—მოცული.

სიმაგრე ყარსი განადგურების შემდეგ, მცხოვრებთ ოსმალეთთან ომი აღარა სურთ.

„საქართველო“ იტყობინება, რომ მოსაზღვრე ერებმა პეტროგრადის დიქტატურის ყოველგვარ დადგენილებაზე უარი განაცხადეს. დაარსდა მრავალი რიცხვი პატარა რესპუბლიკებისა. თბილისში არეულობა გრძელდება. ამ დღეებში გამოაშკარავდა განზრახვა ნავთის შადრევანების აფეთქებისა.

**საქართველოს დამოუკიდებლობა.**

ბერლინი, იანვრის 23. („უტრო“ ს დეპეშა*) „ნაშ ვეკ“-ი იტყობინება საქართველომ გადასწყვიტა დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადება.

ქართული ეროვნული საბჭო, რომელიც თბილისში იმყოფება კავკასიის ფრონტის ჯარს ეროვნულ რაზმთა შედგენისათვის მოუწოდებს.

**მოქალაქობრივი ომი თბილისში.**

ბაზელი, იანვრის 30 („უტრო“ ს დეპეშა) ჰაკასის სააგენტოს ცნობით თბილისში მოხდა (избухнала) მოქალაქობრივი ომი.

**კავკასიის სახელმწიფო და ოსმალეთი.**

ცარიგრადი, (კონსტანტინოპოლი) თებერვლის 26. (კორ. ბიურო). კავკასიის მთავრობის შემადგენლობის შესახებ „ტანინი“ სწერს: გუშინდელ კამერის სხდომაზედ დეპუტატ ალაოღლის მიერ გამოთქმული წუხილი სამართლიანი იყო, რადგან მაჰმადიანები კავკასიაში მეტ ნაწილს შეადგენენ და კავკასიის მთავრობა რომ ცხოველი იყოს და ოსმალეთთან კეთილად განწყობილ სახელმწიფოს დაარსება შესძლოს, მეტ წილად მაჰმადიანური უნდა იყოს. თუმცა ოსმალეთმა გადასწყვიტა ქართველთა კანონიერ უფლებებს ანგარიში გაუწიოს და დააკმაყოფილოს.

**საზავო მოლაპარაკება.**

ცარიგრადი, მარტის 10. (კორ. ბიურო) გაზეთების ცნობით მიხელეთა გარდა, რომელთ შესახებ იყო კიდეც ცნობა, „ერობა და პროგრესი“—ის პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრნი ხალმი ბეი და რიზა ბეი, ტრაპეზუნდს გაემგზავრნენ კავკასიის რესპუბლიკასთან მოსალაპარაკებლად. გაემგზავრა აგრეთვე კავკასიის მუსულმანთა კომიტეტის დელეგატი, რომელიც ერთი კვირა იმყოფებდა აქ.

**მდგომარეობა კავკასიაში.**

ცარგრადი მარტის 10. (კორ. ბიურო) განაგრძობს რა კავკასიის მდგომარეობაზე ცნობების გადმოცემას, გაზეთი დასძენს: კავკასიის მუსულმანთა კომიტეტის წევრთ განუცხადეს „ტასფირ და ეფკიარს“ შემდეგი: ეხლანდელი კავკასიის მთავრობა, შემდგარია ჯერ კიდევ კერენსკის დროს, არ სცნობს რუს ბოლშევიკთა მთავრობას და გამოაცხადა, როგორც უკრაინამ და ფინლიანდიამ, დამოუკიდებლობა. მათ სწამთ, რომ კავკასიის ყველა ხალხი მომავალში შეადგენს ცალკე სახელმწიფოს. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველები შეჰქმნიან ერთ კომპლექტურ მასას თბილისის, ქუთაისის გუბერნიებში და აშალდილიკ (?)-ის და ბორჩალოს მაზრებში მუსულმანთაგან დასახლებულ მიწებზე მუსულმანთა და ქართველთა შორის, არავითარ უთანხმოებას ადგილი არა ჰქონია. საჭიროა ანგარიში გაეწიოს სომხებსაც. მაგრამ იმედია შეთანხმდებიან. დაღესტნის რესპუბლიკის გარდა ფოთის ჩრდილოეთით ერთი რესპუბლიკაც დაარსდა.

ვენა, მარტის 16. „მანჩესტერ გუარდიანი“-ს ცნობით რუსები არ ჰფიქრობენ ბათუმის და ყარსის დაცლას. მათ სურთ, რათა ამის შესახებ ოსმალეთმა კავკასიის რესპუბლიკასთან დაიწყო მოლაპარაკება. მოსალოდნელია ამ ცნობის განხორციელება. საზავო მოლაპარაკების ძალით, რუსებმა უნდა დასცალონ არტაან, ყარსი და ბათუმის კოლონიები (?); არ უნდა ჩაერიონ ამ მხრის ახალ წესდებების შემოღებაში, რომელიც ოსმალეთმა უნდა დაამტკიცოს. როგორც ცნობაა ოსმალეთსა და კავკასიის რესპუბლიკის შორის მოლაპარაკება დაწყებულა.

ჩხეიძე—კავკასიის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე. („დნევნიკ“-ის დეპეშა*) პეტროგრადის დეპეშის ცნობით კავკასიის ეროვნულ საბჭო მოწვეულ იყო ტფილისში. წარმომადგენლად არის ყოფილი დუმის დეპუტატი ჩხეიძე საბჭო იცნობება ერთა რადიოტელეგრამით, რომ არ სცნობს ოსმალეთთან შეკრულს ბრესტ-ლიტოვსკის ზავს.

„ტერდუმანო და ზაკიკატი“ სწერს კავკასიის მიერ ბრესტის ხელშეკრულების უარყოფას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რადგან ჩხეიძეს და სხვებს არ შეუძლიათ ილაპარაკონ კავკასიის მოსახლეობის სახელით, ვინაიდან კავკასიის მოსახლეობას, რომელიც მეტი წილი მუსულმან ქართველთაგან შესდგება, ოსმალეთთან მეგობრული ცხოვრება სურს.

**ავსტრიის ცნობა.**

ვენა, მარტის 27 ოფიციალური კავკასიის ფრონტი. ჩვენმა ჯარმა ოლთისი აიღო.

„ვაქტ“-ი 27 მარტს სწერს ამ ბოლო დროს ისევ გაისმა ჩხეიძეს სახელი, მხოლოდ ეხლა კავკასიის მთების სიმაღლიდან, ჩხეიძე იყო თავმჯდომარე დიეტისა ტფილისში და დადგენილებათა გამოცემა კავკასიის რესპუბლიკის სახელით დაიწყო.

ამ დადგენილებათა შორის ჩვენთვის საგულისხმოა ის, რომლითაც არა სცნობს ოსმალეთსა და ბოლშევიკთა საზავო ხელშეკრულებას. ჩვენ არ შეგვიძლიან ვიცნოთ თბილისის დიეტა ისეთ რამედ, რომელსაც აქვს უფლება კავკასიის ხალხის წარმომადგენლობისა. საქმის ვითარება მალე დაადასტურებს ჩვენს გამოთქმულს. ჩხეიძის დადგენილებას არ შეუძლიან იქონიოს რაიმე გავლენა კავკასიის ბედ-იღბალზე.

**ომი ოსმალეთის წინააღმდეგ**

„როტერდამი, აპრილის 3. რეიტერი იტყობინება პეტროგრადიდან: ბათუმის, ყარსის და არტაანის მიდამოებში ოსმალეთის წინააღმდეგ საშინელი შეჯახებები დაიწყო. სომხებმა და ქართველებმა შეადგინეს დიდი (голъма) (?) *) ლაშქარი ოსმალთა წინააღმდეგ, რომელთაც, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით, მხრის ოკუპაცია დაიწყეს. ქართველმა ჯარმა ხელთ იგდო რუსის რამდენიმე სამხედრო გემი.

**კავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა**

სომხეთის ავტონომია (?) ჰაგა 4 აპრილი. პეტროგრადიდან იტყობინებიან თბილისში შემდგარ კავკასიის საბჭომ გამოაცხადა კავკასიის რესპუბლიკა დამოუკიდებლად. საბჭომ მიიღო პრემინარული ზავი ოსმალეთთან 1914 წლის საზღვრების აღდგენის პრინციპზე. აგრეთვე მიღებულ იქმნა სომხეთის ავტონომიის წინადადება...

**არჩილ მაჭავარიანი.**

(დასასრული იქნება).

## გ-ნი დადვაძე

(წერილი საკუთ. კორესპ.).

ოდესის აქციონერულ საზოგადოების ბეჭდვით ორგანო „ოდესკი ლისტოკი“-ს დამატებაში 1919 წ. იანვრის 1-ლს მოთავსებულია ზემოხსენებული გაზეთის რედაქტორის ბ ნ დადვაძის წერილი სათაურით „საქართველო“ ავტორი სიხარულით აღნიშნავს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკას გერმანოფილი ხელმძღვანელები ჩამოშორდენ და მათ ადგილი დაუთმეს ე. გეგეჭკორს, უკიდურეს ანგლოფილს და რუსეთის ორიენტაციის და კულტურის თაყვანისმცემელს.

დადვაძეს არ სწამს საქართველოს დამოუკიდებლობა და იგი სწერს: „საქართველოს თვითარსებობა, როგორც ცალკე სახელმწიფოსი, სავსებით დამოკიდებულია რუსეთის დემოკრატიაზე და ინგლისის პოლიტიკაზე კავკასიაში“. შემდგომ ბ-ნ დადვაძეს მოჰყავს თარგმანი: „ხაზღვარ გარეთ მომქმედ საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ხელშეკრულებისა ოსმალეთთან და ჰკიცხავს ამ შეთანხმების მეთაურთ. დადვაძის თარგმანი გადასტამბეს ოდესის ყველა გაზეთებმა და საქართველო ოსმალეთის მოკავშირეთ ჩასთვალეს. ხსენებული ცნობა დაბეჭდა აგრედვე ადგილობრივმა ფრანგულმა გაზეთმა.

ამასთანავე ამას დიდი ყურადღება მიაქციეს უცხო ქვეყნების კორესპონდენტებმა და ხელშეკრულების ტექსტი წარუგზავნეს სტამბოლში გაზ. „ორიენტალ“-ს, რეიტერის სააგენტოს და გაზ. „ტაიმსს“.

ბ-ნ დადვაძის ასეთმა ახირებულმა და უტაქტიკო გამოსვლამ დიდათ აღაშფოთა ოდესის ქართველობა.

**ი. დიდიძე.**

## კორესპონდენცია

### ხევი.

ხევში ამ ჟამად შიმშილობაა მიზეზი ხალხის დამშევისა, უმთავრესად ის გარემოება არის, რომ სრულიად მოულოდნელად კავკავში მთავრობა გამოიცვალა და ბოლშევიკების მაგიერად უარესი გაბატონდა. თუ ბოლშევიკების ბატონობის დროს კავკავიდან საქონლის გამოტანას კიდევ ვახერხებდით, ეხლა ჩვენი მხარე ძაუგს სრულიად მოსწყდა და ბუნებრივი მარჩენალი ჩამოშორდა

მაგრამ დღეს იქაც ისე ცუდათაა სურსათის საქმე, რომ გზაც რომ ხსნილი იყოს მაინც ვერას ვისარგებლებთ.

ვისაც კი სახლში ცოტა ფქვილი მოეპოვებოდა, ქ. თბილისისაკენ მიარბენინებდა, რომ იქ კარგ ფასებში გაეყიდა მოხევე სახლში მარცვალს პურს არ ინახავდა, იმ იმედით, რომ თბილისიდან დავბრუნდები და კიდევ ჩამოვიტან, როგორც საოჯახოდ, ისე სამაზროდ, სიმინდსა და ფქვილსაო. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ეს იმედი გაცრუვდა, თარგის ოლქის მკსიდრნი, ის მკვიდრნი, რომელთაგანაც ბაზარი ბარაქიანდებოდა, ერთურთს იარაღით მეესიენ აბა ვიღას შეუძლიან, რომ ამ არეულობის დროს სოფლის ნაწარმოები კავკავის ბაზარზე შემოიტანოს. თვით ქვეყნის ამაოხრებელ ყაზახებს თავისთვის რა აქვთ, რომ სხვას მისცენ ანუ მიჰყიდონ? პირიქით ისენი თვითონ სძარცვავენ მშვიდობიან ხალხსა. ამასვე შვრებიან ქურდ-ბაცაცა ოსობა, განაგრძობდენ ძარცვა ტაციობასა და ქონების გაზიდვას, სწორედ იმ დროსა, როდესაც გახურებული ომი ჰქონდა ყაზახობასა და მთიულებს, უპატრონოთ დატოვებულს ქისტების ქონებას. ოსის კაცი თუ ქალი თავის სოფლებისკენ ურმებით მიეზიდებოდნენ.

ყაზახთა გამარჯვებით კავკავის პურის გზა მთლად შეგვეკრა, გზაც, რომ იყვეს კავკავში საბაზროდ სურსათი აღარავის შემოაქვს. ვის არ მოეხსენება, რომ აქაურ მთის ხალხის ცხოვრებას შეადგენს ცხვარ-მეცხვარეობა, ეს არის ერთად ერთი სახსარი და წყარო ჩვენი არსებობისა, პურის გზის შეკვრას ზედ დაერთო ყიზლარ ჩაჩნისკენ (თერგის ოლქში) საზამთროდ ცხვრის გამოკვების გზის შეკვრაცა რადგანაც ცხვრის სასიარულო გზაზედ მხოლოდ ყაჩაღობით მცხოვრები ჩაჩან ქისტები სახლობენ და ვინ გაჰბედავს ეხლა იქითკენ ცხვრის ფარების გარეკვასა? ჯერ წარსული წელი ისევ მშვიდობიან დროთ ითვლებოდა, მაგრამ ჩაჩან-ქისტებმა და გაზაფხულზედ მუსულმანმა ოსობამა 5 მწყემსი იმსხვერპლეს 51 ათასი სული ცხვარი გაიტაცეს და ას ოცი ცხენი გარეკეს და ურმებს, იარაღს და ქონებას ვინღა იანგარიშებს. გარდა იმისა რომ მოსახლეობა განიცდის შიმშილს, მთიულების მილიონ ნახევარი ცხვარიც იღუპება, რადგან საძოვრისკენ გასავალი არა აქვს.. ასე რომ ძალიან მძიმეა მთის დღევანდელი მდგომარეობა, სულ კი ყაზახთა მძარცველობის და მხეცობის გამო.

როცა ყაზახებს შევეკითხებით, ასეთს უსინდისობას რად ეწევით ხალხს რადა სძარცავთო? ისინი გიპასუხებენ: „Что сдѣлать? плохой человѣкъ и у васъ есть и у насъ.

**კალმის-წვერა.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ვინაიდან იძულებული ვიყავი უეცრივ წავსულვიყავი ფრონტზე, მე მხოლოდ ეხლა გავიგე, რომ საზოგადოებაში და პრესაში ამახინჯებენ იმ სამწუხარო ინციდენტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამა წლის აპრილის ათს, ჩემსა და ჩაფხან დადეშქელიანის შორის. სიმართლის აღსადგენად გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი ჩემი განმარტება: ათ აპრილს, წარმოდგენის გათავების შემდეგ, ქართულ კლუბის ფოიეში ერთად ვისხედით, ორი მანდილოსანი, პრაპ. ჯორჯაძე და მე. ამ დროს, როგორც შემდეგში გამოირკვა, ჩემ ზურგს უკან ვიღაც უცნობი, რომელიც აღმოჩნდა თ. ჩ. დადეშქელიანი, მიიწევდა თურმე მისთვის უცნობ, ჩვენთან მჯდომ, მანდილოსნისაკენ. რომ თავიდან აეცდინა ეს უხერხული მდგომარეობა პრაპორ. ჯორჯაძე ამდგარიყო და დადეშქელიანისათვის ხელი ჩამოერთვა. ამავე დროს, ამ საქციელით შეშინებული მანდილოსნები სწრაფად წამოდგნენ და ფოიე დასტოვეს. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ არასასიამოვნო რაღაც მოხდა. როცა წამოვდექი, დადეშქელიანი და ყიფიანი დავინახე. პირველი მათგანი იდგა ჩემს უკან და გაცხარებით ხელებს იქნევდა. მივედი დადეშქელიანთან და მოვთხოვე განმარტება, მაგრამ ვერავითარი პასუხი ვერ მივიღე მისგან, ვინაიდან ის ყრუ-მუნჯი აღმოჩნდა; პასუხის მაგიერ მან ხელი მაჯაში მომკიდა და ძლიერ შემაქანა. ამ დროს დავინახე ამ ამბით შეშინებული მანდილოსნები. მე იძულებული შევიქენ გადამედო ამ საქმის გამორკვევა და ისინი გამეცილებინა სახლამდე. როცა მოვბრუნდი, დადეშქელიანი და ყიფიანი კლუბის ფოიეში დამხვდნენ. მე ხელმეორედ მივედი მათთან, რომ საბოლოოდ გამომერკვია მიზეზი მათი გაუგებარი და ველური საქციელისა. დადეშქელიანმა საპასუხოთ ამოიღო მაუზერი და ჩახმახ აყენებული მომიშვირა. რადგანაც არ მინდოდა კლუბის შენობაში ამტყდარიყო სროლა, ხელით ვუჩვენე მას, რევოლვერი ბუდეში ჩაედო და გარედ გამოსულიყო მოსალაპარაკებლად.

დადეშქელიანმა ეს შეასრულა და გამემართენით კლუბის გამოსავლისაკენ ამ დროს ჩვენთან მოვიდნენ კლუბის მორიგი მამასახლისი ბ. ყიფიანი და მილიციის უფროსი ბ. ურუშაძე, რომელთაც დაგვაშორეს ერთმანეთს. დადეშქელიანმა და ყიფიანმა, მილიციის უფროსის თხოვნით, კლუბის შენობა, მაშინათვე დასტოვეს, მე კი დროებით იქ შემაჩერეს, ცოტა ხნის უკან მაცნობეს, რომ დადეშქელიანი და ყიფიანი ქუჩაში მიცდიდნენ. უნდოდათ იარაღი აეყარათ და ხელით შეურაცყოფა მოეყენებინათ. ამისათვის, კლუბის დაკეტვის შემდეგ, როცა წამოსვლა დავაპირე, მორიგ მამასახლისმა ბ. ყიფიანმა მთხოვა, რომ იქ ცოტა ხანს დავრჩენილიყავ და ფასვლისას წამეყვანა თან კლუბის სამი დარაჯი მცველად. პირველ წინადადებაზე დავთანხმდი, მეორე კი კათეგორიულად უარ-ყყავი.

ათი წუთის შემდეგ მე და პრაპორ. ჯორჯაძე გამოველით კლუბიდან და გავეშურეთ სახლისაკენ. გოლოვინის პროსპექტზე „ლადია არგონავთების“ წინ შევამჩნიე დადეშქელიანი და ყიფიანი ერთ ქალთან. როცა დამინახეს, ქალი სადღაც დაიმალა, ისინი კი კედლისაკენ გადახტენ. რადგანაც ჩვენ ვარჩიეთ მათ არ შევბმოდით, ისე, გავიარეთ თითქოს ვერ ვამჩნევდით. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, თ. დადეშქელიანი გამოგვყა უკან და ლამობდა რითიმე მოვქცია ჩვენი ყურადღება როდესაც მან თავის მიზანს ვერ მიაღწია, მოვადა ჩვენთან, მოჰკიდა ხელი პრაპ. ჯორჯაძეს, ორჯერ სილა გაარტყა და იძრო მაუზერი. ამ დროს იშიშვლა ხმალი პრაპ. ჯორჯაძემ. შევატყე, რომ ყოველი დაგვიანებული წამი სიკვდილით გვემუქრებოდა: ამიტომ ამოვიღე რევოლვერი და ვესროლე. დადეშქელიანი წაიქცა. ამ ამბის მაყურებელმა ი. ყიფიანი, როდესაც შეატყო, რომ საქმე ღებულობდა მათთვის არა-სასურველ მსვლელობას, შეეცადა ამოეღო რევოლვერი, მაგრამ ვერ მოასწრო და გაიქცა. მე დავეწიე მას, მაგრამ როდესაც ის დავინახე სრულიად შიშისაგან დაბნეული და პატიება მთხოვა, გაუშვი; მან კი ამის შემდეგ განაგრძო სირბილი და უკან მოუხედავად ისროლა რევოლვერი ჩემ მხარეს. მაშინ ჯორჯაძემ აართვა რევოლვერი დაჭრილ დადეშქელიანს და დაედევნა გაქცეულ ყიფიანს, მაგრამ, ჩემი ბრძანების შემდეგ, რომ არ ესროლა ისევ დაბრუნდა ჩემთან. ამის შემდეგ, მოსულ ხალხის საშუალებით, ჩავსვი ავტომობილში დაჭრილი დადეშქელიანი და გავგზავნე მიხ. საავადმყოფოში. შემდეგ კი ჩვენ წავედით მილიციონერებთან ერთად მეორე კომისარიატში, თანაც წამოიყვანეს იარაღ აყრილი ი. ყიფიანი. კომისარიატში გამიხმო ი. ყიფიანმა და მითხრა, რომ ის თანახმაა მისცეს ისეთი ჩვენება, როგორიც ჩემთვის სასურველი იქნება. ამაზე მე უპასუხე, რომ არავითარი მისი დახმარება მე არა მჭირდება.

**კაპიტან ილ. მახარაძე.**

აპრილის 25. 1919 წელი.


## სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა**

დღეს, 10 მაისს წარმოდგენილი იქნება

# თაიზი

11 მაისს დილით „ტრავიატა“ საღამოთი „სადკო“.

## ახლად მოწყობილი სტამბა „ხელოვნება“

**ველიამინოვის ქუჩა № 20.**

ღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ **დაკლებულ ფასებში.**

**საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს**

სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წევრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—9)


## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები. ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან
გამოვა დალის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან
გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.

მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.**

საათები ნაჩვენებია თბილისის დროთი.

**თბილისიდან-მელაანამდე.**

საგარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 საათზე და 50 წუთზე.

საგარაკო მატარ. № 15 მელაა
უერთდება საფოსტო მატარ.
3 და გამოდის იქიდან ნაშუ
ღევის 1 საათზე და 40 წუთ

**თბილისიდან-თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4. თბილისი
გადის დილის 10 საათზე თე
ვში მიდის 7 საათზე და 35

**თელავიდან-თბილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავი
გამოდის დილის 9 საათზე
30 წუთზედ მელაანში უერთ
ბა საგარაკო მატარებელს
და მოდის თბილისში საღ
7 საათზე და 15 წუთზე.

**გურჯაანიდან-წყნორის-წყალამდე**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან
საღამოს 6 საათზე წნორის
ლში მიდის საღამოს 7 საა

**წნორის-წყლიდან-გურჯაანამდე.**

მატარებელი № 5. წნორის-წყ
გამოდის დილის 9 საათზ
50 წუთზე გურჯაანში
დილის 11 საათზე.

(2—54—2


ექიმი

**ა. მ. პაატაშვილი**

იღებს შინაგან და ბავშთა სნე
ბიან ავადმყოფებს, ყოველ დღე,
და შაბათისა, საღამოს 5—7 საა
დე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგ
გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძ

(25—2324—

**მედიცინის დოქტორი ბერლინის**
**ვერხიტეტისა**

**გ. გ. მეგრაგიანც**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექი
გულისა. იღებს ახალ რენტგენ
ელექტრო-წამლობის კაბინეტში,
სინჯვა და წამლობა X-ს სხივ
დიდი სალენოიდი და არსენვალის
კით ფილტვების, გულის და სხვა
ნაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბ
უფასოთ. ყოველ დღე დილის 9
საათამდე და საღამოს 5—8 საა
ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4
7—92

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**
**ალექსანდრა დავითის**

**კეკელია**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფ
ლისით ავადმყოფებს (914-ს და 60
შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება
ლის 10 საათ. 11 საათ. და საღამ
საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპე
№ 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპ
ტელეფონი 14—28.

**მედიცინის ექიმი**

**ე. ა. მ ო ნ ს ე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნ
ლებანი. მკურნალობა ელექტრონ
სიმსუქნის მკურნალობა ბერგონ
აპარატით, საღსრების მკურნალ
ლინდემანის აპარატით; ფსიხოთ
პია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს.
საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კ
და ხუთშაბათის საღამოს გარდ
ხეილის პროსპ. № 111. ტელეფ
13 - 42.

50—2119


*) „უტრო“ — ბულგარული გაზეთია.

*) (დნევნიკ)—ბულგარული გაზეთია.
*) (?) გაზეთის ნიშანი არის.

იაშხადრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.